საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

მრეწველობის სექტორში უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა 2023

სარჩევი

სარჩევი 2

შესავალი 5

კვლევის შესახებ ზოგადი ინფორმაცია და მეთოდოლოგია 7

კვლევის მიზანი 10

კვლევის ობიექტი 10

კვლევის ამოცანები 11

კვლევის ანგარიში 12

ძირითადი ინფორმაცია მრეწველობის სექტორში დამსაქმებლთა სტრუქტურისა და მახასიათებლების შესახებ 12

დასაქმებულთა უნარების შეფასება 23

ვაკანსიების მიმოხილვა 26

მოთხოვნა სამუშაო ძალაზე 36

სამუშაო ძალის განვითარება 39

პროფესიული განათლება 42

დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები 46

პირველი სამუშაოს მაძიებლები 49

თანამედროვე ტექნოლოგიები 51

დიაგრამა 1 დასაქმებულთა განაწილება რეგიონების მიხედვით 12
დიაგრამა 2 დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკურის საქმიანობების სახეების მიხედვით 13
დიაგრამა 3 დასაქმებულთა განაწილება ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით 15
დიაგრამა 4 დასაქმებულთა განაწილება ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით 16
დიაგრამა 5 საშუალო ხელფასი ეკონომიკური სექტორების მიხედვით 18
დიაგრამა 6 საშუალო ხელფასი ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით 18
დიაგრამა 7 მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა გადანაწილება დარგების მიხედვით 20
დიაგრამა 8 მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა გადანაწილება ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით 20
დიაგრამა 9 დაბერების წილი ეკონომიკური საქმიანობების სახეების მიხედვით 21
დიაგრამა 10 დაბერების წილი ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით 21
დიაგრამა 11 სამუშაო გამოცდილების მინიმალური ხანგრძლივობის მოთხოვნა სამუშაოს დასაწყებად 23
დიაგრამა 12 საწარმოთა მიერ დასაქმებულთა უნარების ზოგადი შეფასება 23

დიაგრამა 13 აქტივობები დასაქმებულთა უნარებთან დაკავშირებული პრობლემების დასაძლევად 24
დიაგრამა 14 დასაქმებულთა უნარების შეფასება 25
დიაგრამა 15 ბოლო 1 წლის განმავლობაში ვაკანსიის მქონე საწარმოთა განაწილება ზომის მიხედვით 26
დიაგრამა 16 ბოლო 1 წლის განმავლობაში გამოცხადებული ვაკანსიების განაწილება საწარმოთა ზომისა და დარგების მიხედვით 27
დიაგრამა 17 ბოლო 1 წლის განმავლობაში გამოცხადებული ვაკანსიების განაწილება ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით 28
დიაგრამა 18 ბოლო 1 წლის განმავლობაში გამოცხადებული ვაკანსიები ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით 28
დიაგრამა 19. შეუვსებელი ვაკანსიების განაწილება ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით 29
დიაგრამა 20. შეუვსებელი ვაკანსიების განაწილება ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით 29
დიაგრამა 21 გამოცხადებული და შეუვსებელი ვაკანსიების ხვედრით წილი ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით 30
დიაგრამა 22 დასაქმებულთა საშუალო ხელფასები, ვაკანსიებზე შეთავაზებული ხელფასები და სხვაობა ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით 31
დიაგრამა 23 გამოკითხვის მომენტში გამოცხადებული ვაკანსიების განაწილება ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით 32
დიაგრამა 24 გამოკითხვის მომენტში არსებული ვაკანსიების განაწილება ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით 32
დიაგრამა 25. გამოკითხვის მომენტში არსებული ვაკანსიების განაწილება ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით 33
დიაგრამა 26 ვაკანსიების შეუვსებლობის მიზეზები 33
დიაგრამა 27 კომუნიკაციის წყაროები ახალი კადრების აყვანისას 34
დიაგრამა 28 აპლიკანტთა შეფასება 34
დიაგრამა 29 რომელ აპლიკანტს ენიჭება უპირატესობა 35
დიაგრამა 30 ვაკანსიის შევსებასთან დაკავშირებული პრობლემის აღმოფხვრის გზები 35
დიაგრამა 31 უცხო ენის ფლობის საჭიროება 35
დიაგრამა 32 მომდევნო 1 წლის განმავლობაში მოსალოდნელი ზრდა ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით 36
დიაგრამა 33 მომდევნო 1 წლის განმავლობაში მოსალოდნელი ზრდა ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით 37
დიაგრამა 34 მოსალოდნელი ზრდა მომდევნო 1 წლის განმავლობაში, ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით 37
დიაგრამა 35 მომდევნო 5 წლის განმავლობაში მოსალოდნელი ზრდა ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით 38
დიაგრამა 36 გადამზადებული დასაქმებულების განაწილება სექტორებისა და საწარმოთა ზომის მიხედვით 39
დიაგრამა 37 დაფინანსებული ტრენინგები სფეროების მიხედვით 40
დიაგრამა 38 დასაქმებულთა არ გადამზადების მიზეზები 41
დიაგრამა 39 დასაქმებულთა მოტივაციის მექანიზმები 41

დიაგრამა 40 საწარმოებში სამუშაოს განსახორციელებლად აუცილებელი განათლების ტიპი ... 42
დიაგრამა 41 პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომისა და დარგების მიხედვით ... 43
დიაგრამა 42 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის ტიპი ... 44
დიაგრამა 43 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის სასურველი ტიპი ... 44
დიაგრამა 44 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სანდოობის შეფასება ... 45
დიაგრამა 45. სად უნდა იყოს სახელმწიფოსათვის ინვესტიციების ჩადება პრიორიტეტული ... 45
დიაგრამა 46 დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები, საწარმოთა ზომისა და სექტორების მიხედვით ... 46
დიაგრამა 47 დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით ... 47
დიაგრამა 48 დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები (ადგილობრივ ბაზარზე საჭირო კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალის არარსებობა) ... 48
დიაგრამა 49 პირველი სამუშაოს მაძიებლები განათლების მიღწეული დონის მიხედვით ... 49
დიაგრამა 50 პირველი სამუშაოს მაძიებლები მრეწველობის დარგების მიხედვით ... 49
დიაგრამა 51 საწარმოთა განაწილება მრეწველობის დარგების მიხედვით, რომლებიც იყენებენ ტექნოლოგიებს ... 51
დიაგრამა 52 გამოყენებული ტექნოლოგიების სახეები ... 51
დიაგრამა 53 საწარმოთა განაწილება მრეწველობის დარგების მიხედვით, რომლებიც აპირებენ თანამედროვე ტექნოლოგიებში ინვესტირებას ... 53
დიაგრამა 54 თანამედროვე ტექნოლოგიებში მოსალოდნელი ინვესტირების სფეროები ... 54

შესავალი

მრეწველობა, ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი უმსხვილესი დარგია, რომლის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 14%-ს შეადგენს. ამასთან, ბოლო წლებში მრეწველობის სექტორზე მოდის ბიზნეს სექტორის გამოშვების 30%, რაც ყველა სხვა სექტორის წილს აღემატება, ხოლო ბიზნეს სექტორის ბრუნვაში მისი წილი 13%-ს აჭარბებს (ჩამორჩება მხოლოდ ვაჭრობისა და დასვენება/გართობის სექტორებს). საგულისხმოა, რომ მრეწველობას ბიზნეს სექტორის დასაქმებაშიც მნიშვნელოვანი წილი უჭირავს. კერძოდ, უკანასკნელ წლებში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა 18%-ზე მეტი სწორედ მრეწველობის სექტორზე მოდის, რაც მას ერთ-ერთ უმსხვილეს დამსაქმებელს ხდის. ამასთან, აღნიშნული დარგის შემდგომი განვითარება უშუალოდ უკავშირდება საქართველოს ეკონომიკის სტაბილურ განვითარებას. შესაბამისად, მისი განვითარება საქართველოს მთავრობის მნიშვნელოვან პრიორიტეტს და გამოწვევას წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მრეწველობის, როგორც პრიორიტეტული დარგის შემდგომი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია არსებული გამოწვევებისთვის ადექვატური პასუხების გაცემა. სექტორთან მიმართებით ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების მიზნით, ჩატარდა „მრეწველობის სექტორში უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა“, რომლის მიზანია ადამიანისეული კაპიტალის უნარებზე აღნიშნულ სექტორში საწარმოების არსებული და სამომავლო მოთხოვნის გამოვლენა, რომელთა გათვალისწინებაც შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების პროცესში ხელს შეუწყობს უნარებთან მიმართებით შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის შემცირებას და უნარების მოხმარების ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდას.

კვლევის შედეგად შესწავლილ იქნა მრეწველობის სექტორში:

- სამუშაო ძალის სტრუქტურისა და მახასიათებლები სამუშაოს განაკვეთის, განათლების მიღწეული დონეების, სქესისა და პროფესიული ჯგუფების მიხედვით (პროფესიული ჯგუფები შესწავლილი იქნება დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO-08) ელემენტარული ჯგუფების (მეოთხე დონე) მიხედვით). საწარმოში დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი ელემენტარული ჯგუფების მიხედვით;
- დამსაქმებლის მიერ არსებული სამუშაო ძალის უნარების შეფასება დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO-08) ელემენტარული ჯგუფების მიხედვით;
- სამუშაო ძალაზე მოთხოვნის კომპონენტი დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO-08) ელემენტარული ჯგუფების მიხედვით. ამასთან, ვაკანსიების შევსებასთან დაკავშირებული სირთულეები;

- დასაქმების შესაძლო ცვლილები და მათი გამომწვევი მიზეზები;
- 5 წლიანი პერიოდით სამუშაო ძალის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს საწარმოებში საპენსიო ასაკის მქონე ადამიანების გადინებას და სხვა საჭიროებით გამოწვეულ არსებული სამუშაო ძალის ახლით ჩანაცვლების შესაძლებლობებს.
- სამუშაო ძალის განვითარებაზე საწარმოების მიერ განხორციელებული ქმედებები;
- პროფესიული განათლების მქონე ადამიანების დასაქმების ტენდენციები, ასევე პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის ტენდენციები;
- საწარმოებში უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებაზე ინფორმაცია;
- დამწყები მუშახელის დასაქმების ტენდენციები;
- საწარმოთა მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების და აღნიშნულიდან გამომდინარე სამუშაო ძალაზე შესაძლო მოთხოვნის ზრდა ან შემცირება.

აღნიშნული კვლევა ხელს შეუწყობს მრეწველობის სექტორში დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესებას და მოთხოვნა-მიწოდებას შორის შეუსაბამობის შემცირებას.

კვლევის შესახებ ზოგადი ინფორმაცია და მეთოდოლოგია

2017 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფუნქციად განისაზღვრა შრომის ბაზრის მოთხოვნის კვლევა და ანალიზი. შესაბამისად, 2017 წლიდან დღემდე სამინისტროს მიერ შრომის ბაზრის მოთხოვნის ტენდენციების შესასწავლად ჩატარდა როგორც „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევები“[1] ეკონომიკის ყველა სექტორის მოცვით, ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევები სექტორულ ჭრილში. კერძოდ ჩატარდა „ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა“[2] (2018 წ.), „სამშენებლო ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა“(2019 წ.)[3] და „ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორებში სამუშაო ძალასა და უნარებზე არსებული მოთხოვნის და სამომავლო განზრახვის კვლევა“ (2022 წ.)[4].

2024 წლისთვის შრომის ბაზრის მოთხოვნათა კვლევის მიმართულებით პრიორიტეტულად მრეწველობის სექტორი განისაზღვრა, რაც გახდა წინამდებარე კვლევის განხორციელების საფუძველი. კვლევამ მოიცვა დამამუშავებელი მრეწველობის, სამთომოპოვებითი მრეწველობისა და წყალმომარაგების სექციები (NACE Rev.2-ის შესაბამისად - B, C და E სექციები) და აღნიშნული სექციებისთვის რელევანტური პროფესიული ჯგუფები (ISCO 2008-ის შესაბამისად, მე-4 დონეზე).

ევროპის განათლების ფონდის (ETF), შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) და პროფესიული განათლების ევროპული ცენტრის (CEDEFOP) გამოცდილების შესაბამისად მომზადდა “მრეწველობის სექტორში უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის“ მეთოდოლოგიური ჩარჩო და კითხვარი, რომლის საბოლოო ვერსია შეჯერდა სახელმწიფო უწყებებთან (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო) თანამშრომლობის ფორმატში.

კვლევის გენერალურ ერთობლიობას წარმოადგენდა საქართველოში მოქმედი არაფინანსური კორპორაციების მონაცემთა ბაზა (დაახლოებით 150 ათასი აქტიური საწარმო/ორგანიზაცია), საიდანაც მოხდა ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების კლასიფიკატორის (NACE Rev.2) B, C და E სექციებს მიკუთვნებული საწარმოების შერჩევა. 2023 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით სექტორის B, C და E სექციების აქტიური სუბიექტების საერთო რაოდენობამ - 5, 577 ერთეული შეადგინა. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, გენერალური ერთობლიობიდან გამოირიცხა საწარმოები, რომელთაც არ ყავდათ დასაქმებული პერსონალი ან დასაქმებული იყო 1 პირი. გამოსაკვლევი სუბიექტების რაოდენობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული კვლევაში მსხვილი (83

[1] LMIS.GOV.GE – „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა-2017“ და LMIS.GOV.GE - უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა 2020

[2] LMIS.GOV.GE - „ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა“

[3] LMIS.GOV.GE - „სამშენებლო ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა“

[4] LMIS.GOV.GE – “„ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორებში სამუშაო ძალასა და უნარებზე არსებული მოთხოვნის და სამომავლო განზრახვის კვლევა“

საწარმო) და საშუალო (324 საწარმო) ზომის საწარმოთა სრული მოცვა, ხოლო მცირე ზომის საწარმოების შემთხვევაში გამოიკითხა საწარმოთა 54% (2793 საწარმო). შერჩეულ საწარმოთა აღნიშნული რაოდენობა იძლევა იმის საშუალებას, რომ ეკონომიკურ საქმიანობათა კლასიფიკატორ NACE Rev.2-ში მოცემული სექციების დონეზე მიღებული შეფასების ცდომილება არ აღემატებოდეს 5.0 %-ს, ხოლო მთლიანად, ქვეყნის მასშტაბით გა-მოკვლევის ცდომილება არ უნდა აღემატებოდეს 1.5 %-ს. ამასთან, კვლევის შედეგების გაციფრულების შემთხვევაში, უზრუნველყოს კვლევის შედეგების არანაკლებ 90%-იანი სანდოობა.

გამოკვლევისათვის საჭირო შერჩევის მოცულობის დასადგენად გამოყენებული იქნება შემდეგი ფორმულა:

$$n = \frac{\mathrm{p}(1-\mathrm{p}) * \mathrm{N} * Z^2_{(1+q)/2}}{\mathrm{p}(1-\mathrm{p}) * Z^2_{\frac{1+q}{2}} + N * d^2} * deff$$

სადაც:
N არის პოპულაციის მოცულობა
d - მაქსიმალური დასაშვები ცდომილება
q - საიმედობის დონე
$Z^2_{\frac{1+q}{2}}$ - სტანდარტული ნორმალური განაწილების (1+ q)/2 დონის კვანტილი

$deff$ - დიზაინ ეფექტის მნიშვნელობა.

კვლევის შედეგების განზოგადების მიზნით განხორციელდა მონაცემების შეწონვა.

კვლევამ მოიცვა მრეწველობის სექტორისთვის (B, C და E სექციები) რელევანტური პროფესიული ჯგუფები (ISCO 2008-ის შესაბამისად, მე-4 დონეზე).

საწარმოთა ზომის განსაზღვრისას გამოყენებულ იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ შემუშავებული ახალი მეთოდოლოგია საწარმოს ზომის განსაზღვრის შესახებ:

- **მსხვილად** ითვლება ისეთი საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ ლარს;
- **საშუალოდ** ითვლება ისეთი საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 249 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ ლარიდან 60 მლნ ლარის ფარგლებშია;
- **მცირედ** ითვლება ისეთი საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მლნ ლარის ფარგლებშია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საწარმოთა განაწილება ზომების მიხედვით:

საწარმოს ზომა	მრეწველობის სექტორში აქტიური საწარმოების რაოდენობა	შერჩეულთა რაოდენობა
სულ	**5,577**	**3,200**
მსხვილი	83	83
საშუალო	324	324
მცირე	5170	2793

კვლევის საველე სამუშაოები, შედეგების ელექტრონული ბაზის შექმნა, მონაცემთა ბაზის გაწმენდა და მასში ხარვეზების/უზუსტობების აღმოფხვრა და კვლევის შედეგების განზოგადება განახორციელა საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა. კვლევის შედეგების **ანალიზი და კვლევის ანგარიში მომზადდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ.**

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია მრეწველობის სექტორში ადამიანისეული კაპიტალის უნარებზე დამსაქმებელთა მოთხოვნის გამოვლენა, რომლის გათვალისწინება შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების პროცესში ხელს შეუწყობს უნარებთან მიმართებით შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის შემცირებას და უნარების მოხმარების ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდას.

კვლევის ობიექტი

კვლევის ობიექტია იმ პროფესიული უნარების შესწავლა, რომლებსაც მოითხოვს დამსაქმებელი და რომლებიც აუცილებელია ინდივიდის დასაქმებისთვის მრეწველობის სექტორში. ასევე, სექტორში არსებული საწარმოები, რომლის შერჩევა გენერალური ერთობლიობიდან მოხდა ეკონომიკური საქმიანობების სახეების კლასიფიკატორის (NACE REV 2) B, C და E სექციების მიხედვით:

სექცია B: **სამთომოპობებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება**

სექცია C: დამამუშავებელი მრეწველობა:

კვების პროდუქტების წარმოება (10);

სასმელების წარმოება - (11);

ტექსტილის, ტანსაცმლის, ტყავისა და მასთან დაკავშირებული ნაწარმის წარმოება (13-15);

ავეჯის წარმოება, ხის და კორპის ნაწარმის, ნაკეთების წარმოება ჩალის და წნულის მასალებისგან (16, 31);

ძირითადი ფარმაცევტული პროდუქტების, ქიმიკატებისა და ქიმიური პროდუქტების, კოქსისა და ნავთობპროდუქტების, რეზინისა და პლასტმასის ნაწარმის წარმოება (19-22);

სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება (23);

ძირითადი ლითონების წარმოება (24);

ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანებისა და მოწყობილობების გარდა (25);

კომპიუტერების, ელექტრონული და ოპტიკური პროდუქციის, ელექტრონული მოწყობილობების, მანქანებისა და მოწყობილობების წარმოება სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი, ავტოსატრანსპორტო საშუალებების, მისაბმელი და ნახევარმისაბმელების წარმოება, სხვა სატრანსპორტო მოწყობილობების წარმოება, მანქანებისა და მოწყობილობების რემონტი და დაყენება (26-30, 33);

დანარჩენი (თამბაქოს ნაწარმის წარმოება, ქაღალდის და ქაღალდის ნაწარმის წარმოება, ბეჭდვა და მედია-ჩანაწერების აღწარმოება, სხვა მზა ნაკეთობების წარმოება) (12, 17, 18, 32).

სექცია E: წყალმომარაგება და კანალიზაცია

კვლევის ამოცანები

მრეწველობის (NACE REV2 - B, C და E სექციების დონეზე) სექტორში:

- დასაქმების ზოგად სტრუქტურაზე ინფორმაციის მოპოვება;
- დამსაქმებლის მიერ დასაქმებული სამუშაო ძალის უნარების შეფასება;
- არსებული/პოტენციური ვაკანსიების გამოვლენა;
- ვაკანსიების შევსებასთან დაკავშირებული სირთულეების შესწავლა;
- ვაკანსიებზე შეთავაზებული ანაზღაურების შესწავლა;
- ახალი კადრის აყვანისას საწარმოთა მიერ გამოყენებული ინფორმაციის წყაროების შესწავლა;
- დამსაქმებლის მიერ სწავლებასა და გადამზადებაზე გაწეული საქმიანობის შესწავლა;
- პროფესიული განათლების მქონე ადამიანების დასაქმების ტენდენციების, ასევე პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის ტენდენციების გამოვლენა;
- საწარმოებში უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებაზე ინფორმაციის მოძიება;
- დამწყები მუშახელის დასაქმების ტენდენციების გამოვლენა;
- თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, სამომავლო განზრახვა და მათი გავლენა დასაქმებაზე.

კვლევის ანგარიში

ძირითადი ინფორმაცია მრეწველობის სექტორში დამსაქმებლთა სტრუქტურისა და მახასიათებლების შესახებ

2023 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, მრეწველობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ **122,728** ადამიანი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 1%-ით არის გაზრდილი. აქედან, დასაქმებულთა 94% სრულ განაკვეთზეა დასაქმებული, ხოლო 6% არასრულ განაკვეთზე. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მრეწველობის სექტორი ბოლო წლების განმავლობაში მზარდი ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ, „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა - 2020“ მონაცემებთან შედარების თანახმად, მრეწველობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა, 2019 წელთან შედარებით 10.1%ით არის გაზრდილი.

გენდერულ ჭრილში მრეწველობის სექტორში დასაქმებულთა განაწილება მამაკაცების უპირატესობით ხასიათდება. კვლევის შედეგების მიხედვით, 2023 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით მრეწველობის სექტორში დასაქმებულთა 66%-ს (81,422 დასაქმებული) მამაკაცები, ხოლო 34%-ს (41,306 დასაქმებული) ქალები შეადგენენ.

განათლების მიღწეული დონის მიხედვით მრეწველობის სექტორში დასაქმებულთა შორის კვლევის შედეგების თანახმად, უდიდესი წილით საშუალო განათლების მქონე პირები (44%; 53 713 ადამიანი) გამოირჩევიან, შემდგომ მოდის უმაღლესი განათლების მქონე დასაქმებულები (37%; 44 896 ადამიანი), ხოლო შემდეგ პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულები (20%; 24 119 ადამიანი).

საწარმოთა ზომის მიხედვით დასაქმებულები შემდეგნაირად გადანაწილდნენ: 46% (55 945 დასაქმებული) მსხვილი ზომის საწარმოებში არიან დასაქმებულები, 34% (41 542 დასაქმებული) მცირე ზომის საწარმოებში, ხოლო 20% (25 241 დასაქმებული) საშუალო ზომის საწარმოებში.

რეგიონების მიხედვით დასაქმებულთა განაწილება გვიჩვენებს, რომ უმრავლესობა თბილისშია (42%) დასაქმებული, ხოლო სხვა დანარჩენ რეგიონებში დასაქმებულთა წილი 58%-ს შეადგენს. მრეწველობის სექტორში მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა: ქვემო ქართლი (15%), იმერეთი (14%) და აჭარა (8%). წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით დასაქმება გაზრდილია 6 რეგიონში, მათ შორის, 12%-ით სამცხე-ჯავახეთში, 9%-ით მცხეთა-მთიანეთში, 6%-ით შიდა ქართლში. დასაქმება შემცირებულია 5 რეგიონში. მათ შორის, რაჭა ლეჩხუმი ქვემო სვანეთში 8%-ით, აჭარაში კი 4%-ით;

დიაგრამა 1 დასაქმებულთა განაწილება რეგიონების მიხედვით



კვლევის ფარგლებში არსებული ამოცანები შესწავლილ იქნა ეკონომიკური სექტორების კლასიფიკატორის (NACE Rev. 2) სამი ძირითადი სექტორის პირველი დონის მიხედვით:

1. დამამუშავებელი მრეწველობა;
2. სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება;
3. წყალმომარაგება, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები.

ამასთან, დამამუშავებელი მრეწველობის სექტორი ჩაშლილია NACE Rev. 2 კლასიფიკატორის მეორე დონეზე.

კვლევის თანახმად, დამამუშავებელ მრეწველობაში დასაქმებულთა წილი 77%-ს (94 447 დასაქმებული) შეადგენს, წყალმომარაგება და კანალიზაციის სექტორში - 12%-ს (15 051 დასაქმებული), ხოლო სამთომოპოვებით მრეწველობაში - 11%-ს (13 230 დასაქმებული). თავის მხრივ, დამამუშავებელ მრეწველობაში დასაქმებულები ქვესექტორების დონეზე ასე ნაწილდება: კვების პროდუქტების წარმოება - 28% (26 606 დასაქმებული), სასმელების წარმოება - 13% (11 763 დასაქმებული), ტექსტილის, ტანსაცმლის, ტყავისა და მასთან დაკავშირებული ნაწარმის წარმოება - 11% (10 338 დასაქმებული), ძირითადი ფარმაცევტული პროდუქტების, ქიმიკატებისა და ქიმიური პროდუქტების, კოქსისა და ნავთობპროდუქტების, რეზინისა და პლასტმასის ნაწარმის წარმოება - 10% (9 441 დასაქმებული), სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება - 10% (9 252 დასაქმებული), ძირითადი ლითონების წარმოება - 9% (8 436 დასაქმებული), ავეჯის წარმოება; ხის და კორპის ნაწარმის, ნაკეთების წარმოება ჩალის და წნულის მასალებისგან - 6% (5 5060 დასაქმებული), კომპიუტერების, ელექტრონული და ოპტიკური პროდუქციის, ელექტრონული მოწყობილობების, მანქანებისა და მოწყობილობების წარმოება სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი, ავტოსატრანსპორტო საშუალებების, მისაბმელი და ნახევარმისაბმელების წარმოება, სხვა სატრანსპორტო მოწყობილობების წარმოება, მანქანებისა და მოწყობილობების რემონტი და დაყენება - 5% (4 272 დასაქმებული), ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანებისა და მოწყობილობების გარდა - 4% (4 108 დასაქმებული), დანარჩენი - 5%.

დიაგრამა 2 დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკურის საქმიანობების სახეების მიხედვით



აღსანიშნავია, რომ დასაქმების მაჩვენებელი საანგარიშო პერიოდში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაზრდილია წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სექტორში - 5%-ით (649 დასაქმებული) და დამამუშავებელი მრეწველობის სექტორში 0.5%-ით (449 დასაქმებული). რაც შეეხება, სამთომოპოვებით მრეწველობას, ამ სექტორში 1%-იანი შემცირება ფიქსირდება, რაც 123 დასაქმებულს შეადგენს. თავის მხრივ დამამუშავებელ მრეწველობაში გამორჩეულია კვების პროდუქტების წარმოებისა და სასმელის წარმოების ქვესექტორები, სადაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 3-3%-იანი ზრდა ფიქსირდება. 2%-ით გაიზარდა დასაქმებულთა რაოდენობა სხვა არა ლითონური პროდუქციის წარმოების ქვესექტორში, ხოლო ხის ნაწარმისა და ავეჯის წარმოების, ნავთობპროდუქტების, ქიმიკატებისა და ფარმაცევტული პროდუქციის წარმოების, ტექნიკის, მანქანებისა და მოწყობილობების წარმოების ქვესექტორებში 1%-იანი ზრდა ფიქსირდება. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დასაქმების მაჩვენებლები შემცირებულია დამამუშავებელი მრეწველობის სამ ქვესექტორში: ტექსტილის, ტანსაცმლისა და ტყავის პროდუქციის წარმოების ქვესექტორში დასაქმების მაჩვენებელი შემცირებულია 7%-ით, ძირითადი ლითონების წარმოების ქვესექტორში 3%-ით, ხოლო ლითონის მზა ნაწარმის წარმოების ქვესექტორში 2%-ით.

კვლევის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა დასაქმების სტრუქტურის შესწავლა დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის - ISCO 2008-ის მიხედვით, როგორც ძირითადი, ასევე ელემენტარული ჯგუფების მიხედვით.

კვლევის შედეგების თანახმად, **დასაქმების სტრუქტურა ძირითადი პროფესიული ჯგუფების** მიხედვით, გვიჩვენებს, რომ მრეწველობის სექტორში ჭარბობს ხელოსნებისა და მონათესავე სფეროების მუშების და ასევე დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელის ძირითადი პროფესიული ჯგუფების წარმომადგენლები, რომელთა წილი შესაბამისად, 26% და 24%-ს შეადგენს. ასევე, ორნიშნა ხვედრითი წილით ხასიათდება მენეჯერების (14%) და სპეციალისტების (11%) ძირითადი პროფესიული ჯგუფები. მომსახურებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირების ძირითადი პროფესიული ჯგუფის წარმომადგენელთა წილი 5%-ია, ტექნიკოსებისა და დამხმარე სპეციალისტების, ასევე დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორებისა და ამწყობების ხვედრითი წილი 4-4%, ხოლო ოფისის დამხმარე პერსონალის ძირითადი პროფესიული ჯგუფის წარმომადგენელთა წილი 2%.

რაც შეეხება დასაქმების ზრდას **ძირითადი პროფესიული ჯგუფების** მიხედვით, კვლევის თანახმად, 2023 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დასაქმება ყველაზე მეტად გაიზარდა მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროში დასაქმებული პირების ძირითადი პროფესიული ჯგუფების წარმომადგენლებში - 5%. ასევე აღსანიშნავია ზრდა ტექნიკოსებისა და დამხმარე სპეციალისტებისა (+4%-ით) და მენეჯერების (+3%) ძირითად პროფესიულ ჯგუფებში. ასევე 1%-იანი ზრდა დაფიქსირდა სპეციალისტების, ხელოსნებისა და მონათესავე სფეროების მუშებისა და დანადგარებისა და მოწყობილობების და ამწყობების ძირითად პროფესიულ ჯგუფებში. მცირედი კლება ფიქსირდება დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშაკებისა (-1%) და ოფისის დამხმარე პერსონალის (კლებამ წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 7% შეადგინა, თუმცა რაოდენობრივი ცვლილება მხოლოდ 218 დასაქმებულს შეადგენს) პროფესიულ ჯგუფებში.

დიაგრამა 3 დასაქმებულთა განაწილება ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით



ელემენტარული პროფესიული ჯგუფების პირველ ათეულში ძირითადად ვხვდებით პროფესიებს დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელისა და ხელოსნებისა და მონათესავე სფეროების მუშების ჯგუფებიდან. დასაქმების სიმრავლის მიხედვით ყველაზე გამორჩეული სამრეწველო სფეროს მუშების ელემენტარული პროფესიული ჯგუფია - 11 520 დასაქმებული, რაც მრეწველობის სფეროში არსებული მთლიანი დასაქმების 9%-ია. გარდა ამისა, პირველ ათეულში შედიან ისეთი ელემენტარული პროფესიული ჯგუფები, როგორებიცაა პურისმცხობელები, კონდიტერები და ტკბილეულის დამამზადებლები - 6235 (5%), მამაკაცის და ქალის ტანსაცმლის მკერავები - 5667 (4%), მმართველი დირექტორები და უმაღლესი რგოლის მენეჯერები - 5441 (4%) მეეზოვეები - 4536 (4%), ბუღალტრები - 4314 (3%), სატვირთო ავტომობილების მძღოლები - 4284 (3%), დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშაკები - 3954 (3%), გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები - 2816 (2%), ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები - 2813 (2%).

მენეჯერების ძირითად პროფესიულ ჯგუფში შემავალი დასაქმებულების 32% მოდის მმართველი დირექტორებისა და უმაღლესი რგოლის მენეჯერების ელემენტარულ პროფესიულ ჯგუფზე (5 441 დასაქმებული). შემდეგ მოდის გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები - 2816 დასაქმებული (17%) და კომერციული მომსახურებისა და ადმინისტრაციის მენეჯერები - 2363 დასაქმებული (14%).

სპეციალისტების ძირითად პროფესიულ ჯგუფში შემავალი დასაქმებულების 31% მოდის ბუღალტრების ელემენტარულ პროფესიულ ჯგუფზე (4 314 დასაქმებული). მას მოსდევს მრეწველობისა და წარმოების ინჟინრები - 2332 დასაქმებული (17%) და ინჟინერ-მექანიკოსები - 1160 დასაქმებული (8%).

ტექნიკოსებისა და დამხმარე სპეციალისტების ძირითად პროფესიულ ჯგუფში სიმრავლით გამოირჩევა პროცესის კონტროლის ტექნიკოსები - 1028 დასაქმებული (19%), ელექტროტექნიკოსები - 598 დასაქმებული (11%), და ქიმიური გადამამუშავებელი საწარმოს ოპერატორები - 489 დასაქმებული (9%).

ოფისის დამხმარე პერსონალის ძირითად პროფესიულ ჯგუფში შემავალი ელემენტარული პროფესიული ჯგუფებიდან გამორჩეულია საწყობის კლერკები, რომლებიც ამ ძირითადი ჯგუფის

დასაქმებულთა 25%-ს შეადგნენ (705 დასაქმებული). შემდეგ მოდის მბეჭდავები და ტექსტის რედაქტირების მოწყობილობის ოპერატორები - 420 დასაქმებული (15%) და წარმოების კლერკები - 401 დასაქმებული (14%).

მომსახურებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირების ძირითად პროფესიულ ჯგუფში სიმრავლით გამოირჩევა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები - 2268 დასაქმებული (40%), გაყიდვების წარმომადგენლები - 1932 დასაქმებული (34%) და გაყიდვების სფეროს მუშაკები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი - 663 დასაქმებული (12%).

ხელოსნებისა და მონათესავე სფეროების მუშების ძირითად პროფესიულ ჯგუფში შემავალი დასაქმებულების 20% (6 235 დასაქმებული) პურისმცხობელების, კონდიტერებისა და ტკბილეულის დამამზადებლების ელემენტარულ ჯგუფზე მოდის, შემდეგ მოდის მამაკაცისა და ქალის ტანსაცმლის მკერავები, მექურქეები და მექუდეები - 18% (5667 დასაქმებული) და ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი - 9% (2813 დასაქმებული).

დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორებისა და ამწყობების ძირითადი პროფესიული ჯგუფის წარმომადგენელთა 25% (4284 დასაქმებული) სატვირთო ავტომობილების მძღოლების ელემენტარულ პროფესიულ ჯგუფზე მოდის. შემდეგ მოდის მაღაროსა და კარიერის მუშები - 10% (1793 დასაქმებული), შესაფუთი, ჩამოსასხმელი და მარკირების მანქანების ოპერატორები - 7% (1257 დასაქმებული).

დამწყები კვალიფიკაციის მუშახელის ძირითად პროფესიულ ჯგუფში შემავალი ელემენტარული პროფესიული ჯგუფებიდან გამორჩეულია სამრეწველო სფეროს მუშები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას - 11520 დასაქმებული (40%), მეეზოვეები და მსგავსი დამწყები კვალიფიკაციის მუშები - 4536 დასაქმებული (16%) და დამწყები კვალიფიკაციის მუშები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი - 3954 დასაქმებული (14%).

დიაგრამა 4 დასაქმებულთა განაწილება ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით



კვლევის შედეგების მიხედვით მრეწველობის სექტორში, დასაქმებულთა **საშუალო თვიური ხელფასმა** 1,431.2 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 14%-ით ზრდას შეადგენს. ამასთან, ხელფასები განსხვავებულია საწარმოთა ზომის მიხედვით. კერძოდ, ყველაზე მაღალი ანაზღაურება მსხვილი ზომის საწარმოებშია - 2,812.8 ლარი, საშუალო ზომის საწარმოებში ხელფასი 2,013 ლარს შეადგენს, ხოლო მცირე ზომის საწარმოებში 1,205.3 ლარი.

დასაქმებულთა საშუალო ხელფასის განაწილება რეგიონების მიხედვით გვიჩვენებს, რომ ყველაზე მაღალი საშუალო ხელფასი მცხეთა-მთიანეთშია - 1 902₾, შემდეგ მოდის თბილისი 1 610₾ და შიდა ქართლი 1 556.2₾. დანარჩენ რეგიონებში მრეწველობის სექტორში საშუალო თვიური ხელფასი ასე გამოიყურება:

ქვემო ქართლი	1535.0 ₾
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1445.2 ₾
კახეთი	1357.4 ₾
სამცხე-ჯავახეთი	1284.4 ₾
გურია	1187.8 ₾
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1065.7 ₾
იმერეთი	1052.8 ₾
აჭარა	1006.6 ₾

რაც შეეხება **რეგიონულ ჭრილში საშუალო თვიურ ხელფასს,** აღნიშნული წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაზრდილია ყველა რეგიონში, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის გარდა. ყველაზე მაღალი ზრდა ფიქსირდება შიდა ქართლში (52%), შემდეგ მოდის მცხეთა მთიანეთი (20%) და თბილისი (17%). ასევე ორნიშნა ზრდა ფიქსირდება სამცხე-ჯავახეთსა და გურიაში, შესაბამისად 11% და 10%.

დარგების მიხედვით ყველაზე მაღალი საშუალო ხელფასი სამთომოპოვებით მრეწველობაშია - 2 200₾, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 34%-ით მეტია, შემდეგ მოდის წყალმომარაგება და კანალიზაცია - 1,601 ლარი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ზრდამ 12% შეადგინა, ხოლო დამამუშავებელ მრეწველობაში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი 1,451 ლარია, ზრდამ წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 11% შეადგინა.

რაც შეეხება დამამუშავებელ მრეწველობაში შემავალ ქვედარგებს, ყველაზე მაღალი საშუალო ხელფასი სასმელი პროდუქტების წარმოებაშია - 1 758₾ (8%-იანი ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით), შემდეგ მოდის ტექნიკის, მანქანებისა და სხვა მოწყობილობების წარმოება - 1 752₾ (9%-იანი ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით) და ძირითადი ლითონების წარმოება - 1 615₾ (4%-იანი ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით).

ამასთან, დამამუშავებელი მრეწველობის ქვესექტორებს შორის საშუალო ხელფასის ყველაზე მაღალი ზრდა ხის ნაწარმისა და ავეჯის წარმოების დარგში დაფიქსირდა - 36%, ასევე ორნიშნა პროცენტული ზრდა დაფიქსირდა სხვა არა ლითონური მინერალების წარმოებისა - 15% და კვების პროდუქტების წარმოების ქვედარგებში - 12%.

დიაგრამა 5 საშუალო ხელფასი ეკონომიკური სექტორების მიხედვით



ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით, ყველაზე მაღალი საშუალო ხელფასი მენეჯერებს აქვთ - 2 284₾, აგრეთვე ყველაზე მაღალია საშუალო ხელფასის ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (+21%). აქვე, აღსანიშნავია, რომ საშუალო ხელფასი გაზრდილია ყველა სხვა ძირითადი პროფესიული ჯგუფის მიხედვითაც. მენეჯერების შემდეგ, ყველაზე მაღალი საშუალო ხელფასი ტექნიკოსებისა და დამხმარე სპეციალისტებს აქვთ - 1 291₾ (+8%), შემდეგ მოდის დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები - 1176₾ (+8%), ოფისის დამხმარე პერსონალი - 1190₾ (+8%), დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები - 1176₾ (+8%), სპეციალისტები - 1133₾ (+8%), ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები - 868₾ (+9%), მომსახურებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები - 804₾ (+7%) და დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი - 739₾ (+5%).

დიაგრამა 6 საშუალო ხელფასი ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით



ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით დაქირავებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საკმაოდ განსხვავებულია. ელემენტარული პროფესიული ჯგუფებიდან მრეწველობის სექტორში მაღალი ხელფასებით გამოირჩევიან ICT სფეროს წარმომადგენლები, როგორებიცაა: პროგრამების და აპლიკაციების განვითარების სპეციალისტები (3767 ლარი) და მონაცემთა ბაზის დიზაინერები და ადმინისტრატორები (3094 ლარი).

საშუალო ხელფასის ტოპ 10-ეული ელემენტალური პროფესიული ჯგუფების მიხედვით ასე გამოიყურება:

2421	მართვისა და ორგანიზაციული ანალიტიკოსები	3578.4₾
2114	გეოლოგები და გეოფიზიკოსები	3303.6₾
2413	ფინანსური ანალიტიკოსები	3262.8₾
2111	ფიზიკოსები და ასტრონომები	3125₾
2423	პერსონალისა და კარიერული წინსვლის პროფესიონალები	2812.3₾
1120	მმართველი დირექტორები და უმაღლესი რგოლის მენეჯერები	2696.1₾
3118	მხაზველები	2605.8₾
1322	სამთომოპოვებითი მრეწველობის მენეჯერები	2559.8₾
3134	ნავთობისა და ბუნებრივი აირის გამწმენდი საწარმოს ოპერატორები	2473.6₾
1223	კვლევებისა და დამუშავებების მენეჯერები	2250.5₾

*ICT პროფესიული ჯგუფების გამოკლებით

კვლევის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში მრეწველობის სექტორში **საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა რაოდენობის** განსაზღვრა. კვლევის შედეგების მიხედვით, მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში მრეწველობის სექტორში საპენსიო ასაკს მიაღწევს სექტორში დასაქმებულთა 15% (16 800 დასაქმებული), რაც მთლიანი დასაქმების 2%-ია. აქედან უმრავლესობა კაცებზე (58%) მოდის. მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკს მიღწეულ დასაქმებულთა 45% მცირე ზომის საწარმოებში არიან დასაქმებულები, 37% მსხვილი ზომის საწარმოებში, ხოლო 18% საშუალო ზომის საწარმოებში.

მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულებს ყველაზე მრავლად დამამუშავებელი მრეწველობის სექტორში ვხვდებით, მათი რაოდენობა 12 722 დასაქმებულის ტოლია, რაც დამამუშავებელი მრეწველობის სექტორში მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკს მიღწეულ დასაქმებულთა 76%-ს შეადგენს, 18% მოდის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სექტორზე (3000 დასაქმებული), ხოლო 6% სამთომოპოვებით მრეწველობაზე.

რაც შეეხება დამამუშავებელ მრეწველობაში შემავალი ქვედარგების წილს მთლიანად მრეწველობის სექტორში, მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა 21% კვების პროდუქტების წარმოების ქვედარგზე მოდის, ტექსტილის, ტანსაცმლისა და ტყავის წარმოებაზე - 13%, ნავთობპროდუქტების, ქიმიკატებისა და ფარმაცევტული პროდუქტების წარმოებაზე - 9%, სასმელი პროდუქტების წარმოებაზე - 7%, სხვა არალითონური მინერალების წარმოებაზე - 6%, ძირითადი ლითონების წარმოებაზე - 6%, დანარჩენ სექტორებზე (იგულისხმება, თამბაქოს ნაწარმის წარმოება, ქაღალდის და ქაღალდის ნაწარმის წარმოება, ბეჭდვა და მედია-ჩანაწერების აღწარმოება, სხვა მზა ნაკეთობების წარმოება) - 4%, ხის ნაწარმისა და ავეჯის წარმოებაზე - 3%, ტექნიკის, მანქანებისა და მოწყობილობების წარმოება - 3%, ლითონის მზა ნაწარმის წარმოება - 3%.

დიაგრამა 7 მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა გადანაწილება დარგების მიხედვით



ISCO 2008-ის **ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა გადანაწილება** შემდეგნაირად გამოიყურება: ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები - 31% (5234 დასაქმებული), დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი - 22% (3769 დასაქმებული), მენეჯერები - 11% (1913 დასაქმებული), სპეციალისტები - 11% (1902 დასაქმებული), დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები - 10% (1718 დასაქმებული), მომსახურებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები - 8% (1339 დასაქმებული), ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები - 4% (608 დასაქმებული), ოფისის დამხმარე პერსონალი -2% (317 დასაქმებული).

დიაგრამა 8 მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა გადანაწილება ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით



ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით, მრეწველობის სექტორში მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა 9% მამაკაცის და ქალის ტანსაცმლის მკერავების ელემენტარულ პროფესიულ ჯგუფზე მოდის, მას მოსდევენ სამრეწველო სფეროს

მუშები- 8%, პურისმცხობელები, კონდიტერები და ტკბილეულის დამამზადებლები - 6%, მმართველი დირექტორები და უმაღლესი რგოლის მენეჯერები - 5%, ბუღალტრები - 5%, უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები - 4%, ზეინკალ-მეხელსაწყოეები და მონათესავე სფეროების მუშები - 4%, არაკვალიფიციური მუშები - 4%, მეეზოვეები და მსგავსი დამწყები კვალიფიკაციის მუშები - 3%, ოფისის, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დამლაგებლები და დამხმარეები - 3%.

რაც შეეხება მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა ხვედრით წილს მთლიან დასაქმებაში - ყველაზე მეტად დაბერებადია ტექსტილის, ტანსაცმლისა და ტყავის პროდუქციის წარმოება, სადაც მომდევნო 5 წლის განმავლობაში დასაქმებულთა 21% მიაღწევს საპენსიო ასაკს, შემდეგ მოდის წყალმომარაგება და კანალიზაცია - 20%, დაბერების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სამთომოპოვებით მრეწველობაშია, სადაც მომდევნო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა ხვედრითი წილი - 8%-ს შეადგენს.

დიაგრამა 9 დაბერების წილი ეკონომიკური საქმიანობების სახეების მიხედვით



ძირითადი პროფესიული ჯგუფებიდან ყველაზე მეტად დაბერებადია მომსახურებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები - 24%, ხოლო ყველაზე ნაკლებად დაბერებადი დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები - 10%.

დიაგრამა 10 დაბერების წილი ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით



დამსაქმებლები თვლიან, რომ მომდევნო 5 წლის განმავლობაში, საპენსიო ასაკს მიღწეულ დასაქმებულებიდან პენსიაზე სავარაუდოდ 2 462 თანამშრომელი გავა, რაც მრეწველობის სექტორში დასაქმებულთა 2%-ია, ხოლო საპენსიო ასაკს მიღწეული დასაქმებულების 15%. პენსიაზე სავარაუდოდ გამსვლელებიდან 55% კაცია. რაც შეეხება რეგიონულ ჭრილს, აღნიშნულ ჭრილში უმრავლესობა თბილისზე (40%) მოდის.

მომდევნო 5 წლის განმავლობაში, მრეწველობის სექტორში, საპენსიო ასაკის დასაქმებულებში პენსიაზე შესაძლო გამსვლელთა წილი საქმიანობათა სახეების მიხედვით ყველაზე მაღალია კვების პროდუქტების წარმოების ქვედარგში (23%), შემდეგ მოდის ნავთობპროდუქტების, ქიმიკატებისა და ფარმაცევტული პროდუქციის წარმოების ქვედარგი (20%), ასევე ორნიშნა ხვედრითი წილით ხასიათდება წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სექტორი(18%), სხვა არალითონური მინერალური პროდუქციის წარმოებისა (15%) და ხის ნაწარმისა და ავეჯის (15%) წარმოების ქვედარგები.

დამსაქმებელთა აზრით, მომდევნო 5 წლის განმავლობაში, საპენსიო ასაკს მიღწეულთაგან, პენსიაზე შესაძლო გამსვლელთა წილი მაღალია: სპეციალისტების (20%), დამწყები კვალიფიკაციის მუშების (16%), ხელოსნებისა (15%) და დანადგარების ოპერატორების (15%) ძირითად პროფესიულ ჯგუფებში.

დასაქმებულთა უნარების შეფასება

დამსაქმებელთა მხრიდან დასაქმებულთა უნარების შეფასების კუთხით, კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ თუ როგორია სამუშაო გამოცდილების მინიმალური ხანგრძლივობა, რომელიც მოითხოვება დამსაქმებლის მიერ საწარმოში სამუშაოს/საქმის განსახორციელებლად. კვლევის შედეგების თანახმად, სამუშაო გამოცდილების მინიმალური ხანგრძლივობა, რომელიც მოითხოვება საწარმოში სამუშაოს/საქმის განსახორციელებლად, მინიმუმ 1 წელს საწარმოთა 68%-ში შეადგენს, ხოლო გამოცდილებას არ ითხოვს საწარმოთა 30%.

დიაგრამა 11 სამუშაო გამოცდილების მინიმალური ხანგრძლივობის მოთხოვნა სამუშაოს დასაწყებად



რაც შეეხება, საწარმოთა ზომის მიხედვით აღნიშნულის განაწილება, შემდეგ სურათს იძლევა: სამუშაო გამოცდილების მოთხოვნა, მინიმუმ 1 წელი საშუალო ზომის საწარმოების 71%-ში, მცირე ზომის საწარმოების 68%-ში, ხოლო მსხვილი ზომის საწარმოების 65%-ში დაფიქსირდა. ქვედარგების მიხედვით - მინიმუმ 1 წლიანი სამუშაო გამოცდილების მოთხოვნა ყველაზე მაღალი ტექნიკა, მანქანები და სხვა მოწყობილობების წარმოების დარგშია - 79%, ხოლო ყველაზე დაბალი წყალმომარაგება კანალიზაციის დარგში - 62%. „სამუშაო გამოცდილების გარეშე“ პასუხის წილი ყველაზე მაღალი კვების პროდუქტების წარმოების დარგშია - 35%, ხოლო ყველაზე დაბალი ტექნიკა, მანქანები და სხვა მოწყობილობების წარმოების დარგში - 16%.

კვლევის შედეგების მიხედვით, საწარმოთა 84% მიიჩნევს, რომ დასაქმებულთა უნარები უმეტესად შეესაბამება საჭირო უნარებს, საწარმოთა 9%-ის თანახმად - დასაქმებულთა უნარები უმეტესად საჭიროებს განვითარებას, რათა გაუმკლავდნენ სამუშაოს/ბიზნესის ზოგიერთ ამოცანებსა და მოვალეობებს, ხოლო 7% მიიჩნევს, რომ დასაქმებულთა უნარები აღემატება შესასრულებელი სამუშაოს მოთხოვნებს.

დიაგრამა 12 საწარმოთა მიერ დასაქმებულთა უნარების ზოგადი შეფასება



საწარმოთა ზომის მიხედვით, დამსაქმებელთა შეფასებები ასე გადანაწილდა:

- „დასაქმებულთა უნარები უმეტესად შეესაბამება საჭირო უნარებს“ პასუხის წილი მსხვილი ზომის საწარმოებში 67%-ია, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია, საშუალოში - 79%, ხოლო მცირეში - 85% (ყველაზე მაღალი).
- ”დასაქმებულთა უნარები უმეტესად საჭიროებს განვითარებას, რათა გაუმკლავდნენ სამუშაოს/ბიზნესის ზოგიერთ ამოცანებსა და მოვალეობებს“ პასუხის წილი მსხვილი ზომის საწარმოებში 19%-ია, საშუალოში - 13%, ხოლო მცირეში - 8%.
- „დასაქმებულთა უნარები აღემატება შესასრულებელი სამუშაოს მოთხოვნებს“ პასუხის წილი მსხვილი ზომის საწარმოებში 13%-ია, საშუალოში - 8%, ხოლო მცირეში - 7%;

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა ის ძირითადი ღონისძიებები, რომელსაც საწარმო ატარებს თანამშრომლების უნარებთან დაკავშირებული პრობლემების დასაძლევად. კვლევის შედეგებით, 51% პასუხების წილის თანახმად, საწარმო თანამშრომლების უნარებთან დაკავშირებული პრობლემების დასაძლევად სპეციალურ ღონისძიებებს არ მიმართავს, პასუხების 19% წილი მოდის დამატებით ტრენინგების ჩატარებაზე, 17% ახალი კვალიფიციური კადრის აყვანაზე, ხოლო 12% სამუშაო პრაქტიკის შეცვლაზე.

დიაგრამა 13 აქტივობები დასაქმებულთა უნარებთან დაკავშირებული პრობლემების დასაძლევად



კვლევის თანახმად, დასაქმებულები დამსაქმებელთა მიერ შეფასდნენ სხვადასხვა პროფესიული უნარების მიხედვით. კერძოდ, დამსაქმებლებმა დასაქმებულები შეაფასეს ისეთ უნარებში როგორებიცაა: ტექნიკური, ხარისხის კონტროლის, პრობლემის გადაჭრის, გუნდური მუშაობის და თანამშრომლობის, ეფექტიანი წარმოების, უსაფრთხოების, ადაპტაციის და მოქნილობის, დროის მენეჯმენტი და ორგანიზაციული, კომუნიკაციის, ლიდერობის უნარები.

აღსანიშნავია რომ დასაქმებულები ამ უნარებში „ძალიან კარგად“ საწარმოთა 26%-მა შეაფასა, „კარგად“ 56%-მა, „საშუალოდ“ 18%-მა, ხოლო „ცუდად“ და „ძალიან ცუდად“ ჯამში 1%-მა.

დიაგრამა 14 დასაქმებულთა უნარების შეფასება



მრეწველობის სექტორში დამსაქმებლების მიერ დასაქმებულთა უნარები ზოგადად დადებითად ფასდება. რადგან, თითოეული კრიტერიუმის მიხედვით საკმაოდ მაღალია კარგი და ძალიან კარგი შეფასების ხვედრითი წილი. დამსაქმებლები უმეტესწილად კარგ შეფასებას აძლევენ დასაქმებულების უნარებს და სხვადსხვა კრიტერიუმის მიხედვით კარგი შეფასების ხვედრითი წილი მერყეობს 51-57%-ის ფარგლებში.

უმაღლესი შეფასებით გამოირჩევა: უსაფრთხო მუშაობის (32%), გუნდური მუშაობის (31%), ტექნიკური (29%), ხარისხის კონტროლისა (29%) და კომუნიკაციის (26%) უნარები.

საშუალო შეფასება ჭარბობს: ლიდერობის (31%), ორგანიზაციულ (22%) და ადაპტაციის (22%) უნარებში.

ვაკანსიების მიმოხილვა

მრეწველობის სექტორში უნარებთან მიმართებით არსებული მოთხოვნის კვლევა ითვალისწინებდა საწარმოებში არსებული ვაკანსიების, ასევე საწარმოთა მიერ ახალი კადრის აყვანის მეთოდებისა და წყაროების შესწავლას. ამ მიზნით უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა გამოკითხვის მომენტში, ასევე ბოლო 1 წლის განმავლობაში საწარმოებში არსებული, გამოცხადებული და შეუვსებელი ვაკანსიების სტრუქტურა მრეწველობის სექტორის ყველა ქვესექტორში, ძირითადი და ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით. ასევე ვაკანსიების შეუვსებლობის მიზეზები და ის ძირითადი კრიტერიუმები, რომლებსაც დამსაქმებელი აქცევს ყურადღებას ახალი კადრის მოძიებისას.

კვლევის შედეგების მიხედვით, 2023 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ვაკანსია ჰქონდა **1,180 (21%) საწარმოს,** რომელთაგან 80% მცირე ზომის საწარმოა, 14% საშუალო, ხოლო 6% მცირე. საწარმოთა 46% თბილისში მდებარეობს, ხოლო 54% დანარჩენ რეგიონებში. ამ საწარმოთა 33% კვების პროდუქტების წარმოების დარგზე მოდის, ასევე ორნიშნა ხვედრითი წილით ხასიათდება ხის ნაწარმისა და ავეჯის წარმოების (10%) და სხვა არალითონური მინერალების წარმოების (10%) დარგი.

ვაკანსიათა ყველაზე მაღალი წილით გამოირჩევა მსხვილი ზომის საწარმოები - 80% (83 საწარმოდან ვაკანსია ჰქონდა 66-ს), შემდეგ მოდის საშუალო ზომის საწარმოები - 51% (165 საწარმო 324-დან), მცირე ზომის საწარმოებში 18% (949 საწარმო 5 170-დან).

დიაგრამა 15 ბოლო 1 წლის განმავლობაში ვაკანსიის მქონე საწარმოთა განაწილება ზომის მიხედვით



რაც შეეხება დარგობრივ ჭრილს, ვაკანსიების მქონე საწარმოთა ხვედრითი წილი[5] ყველაზე მაღალი წყალმომარაგებისა და კანალიზაციის დარგშია - 37%, შემდეგ მოდის ტექსტილის, ტანსაცმლისა და ტყავის წარმოება - 26%, კვების პროდუქტების წარმოება - 23%, სასმელის წარმოება - 22%, სამთომოპოვებითი მრეწველობა - 21%, ტექნიკის, მანქანებისა და მოწყობილობების წარმოება - 20%, დანარჩენი ქვედარგები - 20%, ხის ნაწარმისა და ავეჯის წარმოება - 19%, ლითონის მზა ნაწარმის წარმოება - 19%, ნავთობპროდუქტების, ქიმიკატებისა და ფარმაცევტული პროდუქციის წარმოება - 18%, სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება - 18%, ძირითადი ლითონების წარმოება - 18%.

[5] ვაკანსიის მქონე საწარმოთა რაოდენობა / საწარმოთა სრულ რაოდენობასთან.

2023 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში **არსებული ვაკანსიების რაოდენობამ 10,106** შეადგინა, აქედან 42% მსხვილი ზომის საწარმოებზე მოდის, 33% მცირე, ხოლო 25% საშუალო ზომის საწარმოებზე. არსებულ ვაკანსიათა 48% თბილისზე მოდის, ხოლო 52% დანარჩენ რეგიონებზე. დარგების მიხედვით არსებული ვაკანსიების განაწილება შემდეგნაირია: 35% კვების მრეწველობის ქვედარგზე მოდის, 10% სასმელების წარმოებაზე, ხოლო დანარჩენი დარგები ორნიშნა ხვედრითი წილით არ გამოირჩევიან და არსებული ვაკანსიები მეტნაკლებად თანაბრად არის გადანაწილებული.

არსებული ვაკანსიებიდან საწარმოებმა **82% (8,284 ვაკანსია) გამოაცხადეს.** გამოცხადებული ვაკანსიების 42% მსხვილი ზომის საწარმოებზე მოდის, 24% მცირეზე, ხოლო 24% საშუალოზე. გამოცხადებული ვაკანსიების 48% თბილისზე მოდის, ხოლო 52% დანარჩენ რეგიონებზე.

გამოცხადებული ვაკანსიების უმრავლესობა დამამუშავებელი მრეწველობის სექტორზე მოდის - 89%, რაც 7,319 გამოცხადებული ვაკანსიას შეადგენს, 7% წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სექტორზე (620 ვაკანსია), ხოლო 4% სამთომოპოვებითი მრეწველობის სექტორზე (346 ვაკანსია). რაც შეეხება დამამუშავებელ მრეწველობაში შემავალ ქვედარგებს, გამოცხადებული ვაკანსიების უმრავლესობა კვების პროდუქტების წარმოებაზე მოდის - 3 074 ვაკანსია, რაც მთლიანად მრეწველობის სექტორში გამოცხადებული ვაკანსიების 37%-ს შეადგენს. შემდეგ მოდის სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება - 8% (649 ვაკანსია), სასმელების წარმოება - 7% (632 ვაკანსია). გამოცხადებული ვაკანსიები მეტნაკლებად თანაბრად არის გადანაწილებული დანარჩენ ქვედარგებზე.

დიაგრამა 16 ბოლო 1 წლის განმავლობაში გამოცხადებული ვაკანსიების განაწილება საწარმოთა ზომისა და დარგების მიხედვით



რაც შეეხება გამოცხადებული ვაკანსიების განაწილებას **ძირითადი პროფესიული ჯგუფების** მიხედვით, გამოცხადებული ვაკანსიების 35% (2 907 ვაკანსია) ხელოსნებისა და მონათესავე სფეროების მუშებზე მოდის, შემდეგ მოდის დამწყები კვალიფიკაციის მუშები - 1882 ვაკანსია (23%), დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები - 1155 ვაკანსია (14%), მენეჯერები - 665 ვაკანსია (8%), სპეციალისტი-პროფესიონალები - 506 ვაკანსია (6%), ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები - 468 ვაკანსია (6%), მომსახურებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები - 394 ვაკანსია (5%), ოფისის დამხმარე პერსონალი - 307 ვაკანსია (4%).

დიაგრამა 17 ბოლო 1 წლის განმავლობაში გამოცხადებული ვაკანსიების განაწილება ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით



ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით დიდი იყო მოთხოვნა: პურისმცხობელებზე, კონდიტერებსა და ტკბილეულის დამამზადებლებზე - 1104 ვაკანსია (13%), სამრეწველო სფეროს მუშებზე - 809 ვაკანსია (10%), დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშაკებზე - 510 ვაკანსია (6%), პროცესის მართვის ტექნიკოსებზე - 270 ვაკანსია (3%), მაღაროსა და კარიერის მუშებზე - 251 ვაკანსია (3%), გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერებზე - 248 ვაკანსია (3%), მკერავებსა და მქარგავებზე - 238 ვაკანსია (3%), ხელოსნებზე - 206 ვაკანსია (2%), ხორცისა და თევზის პროდუქტების გადამმუშავებლებზე - 192 ვაკანსია (2%) და ინჟინერ-მექანიკოსებზე - 182 ვაკანსია (2%)

დიაგრამა 18 ბოლო 1 წლის განმავლობაში გამოცხადებული ვაკანსიები ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით



2023 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში **გამოცხადებული ვაკანსიებიდან შეუვსებელი დარჩა 1,373 ვაკანსია**, რაც გამოცხადებული ვაკანსიების 17%-ს

შეადგენს. აქედან 46% ხელოსნებისა და მონათესავე სფეროების მუშების ძირითად პროფესიულ ჯგუფზე მოდის (647 ვაკანსია), 21% დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელზე (291 ვაკანსია), 10% მენეჯერებზე (138 ვაკანსია), დანარჩენი ძირითადი პროფესიული ჯგუფები ორნიშნა პროცენტული წილით არ ხასიათდებიან.

დიაგრამა 19. შეუვსებელი ვაკანსიების განაწილება ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით



ზემოაღნიშნული 1,373 შეუვსებელი ვაკანსია, ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით ასე ნაწილდება. კერძოდ, შეუვსებელი ვაკანსიების განაწილებისას გამორჩეულია სამრეწველო სფეროს მუშების ელემენტარული პროფესიული ჯგუფი - 243 ვაკანსია (18%), პურისმცხობელები. ასევე ორნიშნა პროცენტული ხვედრითი წილით გამოირჩევა კონდიტერებისა და ტკბილეულის დამამზადებლების ჯგუფი - 165 ვაკანსია (12%). შემდეგ მოდიან ტანსაცმლის მკერავები, მექურქეები და მექუდეები - 100 ვაკანსია (7%), გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები - 64 ვაკანსია (5%), მკერავები, მქარგავები და მონათესავე სფეროების ხელოსნები - 59 ვაკანსია (4%), ლითონდასამუშავებელი ჩარხების ამწყობები და ოპერატორები - 51 ვაკანსია (4%), ხორცის, თევზისა და მსგავსი საკვები პროდუქტების გადამმუშავებლები - 30 ვაკანსია (2%), დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშაკები - 26 ვაკანსია (2%), მომარაგების, დისტრიბუციისა და მონათესავე სფეროების მენეჯერები - 24 ვაკანსია (2%), ავეჯის გადამკვრელები და მონათესავე სფეროების ხელოსნები - 22 ვაკანსია (2%).

დიაგრამა 20. შეუვსებელი ვაკანსიების განაწილება ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით



გამოცხადებულ ვაკანსიებში შეუვსებელი ვაკანსიების წილით (შეუვსებელი ვაკანსიები / გამოცხადებულ ვაკანსიებთან) გამორჩეულია ხელოსნებისა და მენეჯერების ძირითადი პროფესიული ჯგუფები. ამასთან, ხელოსნების ძირითად პროფესიულ ჯგუფზე გამოცხადებული 2,907 ვაკანსიიდან, საწარმოებს შეუვსებელი დარჩათ 22% (647 შეუვსებელი ვაკანსია).

დიაგრამა 21 გამოცხადებული და შეუვსებელი ვაკანსიების ხვედრით წილი ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით



გამოცხადებულ ვაკანსიებში შეუვსებელი ვაკანსიების წილით (მინიმუმ 100 გამოცხადებული ვაკანსია) გამორჩეულია მკერავთა ელემენტარული პროფესიული ჯგუფი - 69% (გამოცხადებული 144 ვაკანსია, შეუვსებელი 100 ვაკანსია), შემდეგ მოდის ლითონდასამუშავებელი ჩარხების ამწყობები და ოპერატორები - 48% (გამოცხადებული 108 ვაკანსია, შეუვსებელი 51 ვაკანსია), სამრეწველო სფეროს მუშები - 30% (გამოცხადებული 809 ვაკანსია, შეუვსებელი 243 ვაკანსია).

კვლევის შედეგების მიხედვით 2023 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, ბოლო 1 წელიწადში **გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეთავაზებული საშუალო ხელფასი 1 471 ლარს შეადგენს,** რაც მრეწველობის სექტორში არსებულ საშუალო ხელფასს 3%-ით აღემატება.

საწარმოთა ზომის მიხედვით გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეთავაზებული ხელფასი ყველაზე მაღალი მცირე ზომის საწარმოებშია - 1 516 ლარი, შემდეგ მოდის მსხვილი ზომის საწარმოები - 1 498 ლარი, ბოლოს კი საშუალო ზომის საწარმოები - 1 356 ლარი.

პროფესიული ჯგუფების მიხედვით გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეთავაზებული საშუალო ხელფასი ყველაზე მაღალი მენეჯერებზე მოდის - 1945₾, შემდეგ ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები - 1639₾, სპეციალისტები - 1556₾.

ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეთავაზებული საშუალო ხელფასი, არსებულ საშუალო ხელფასს თითქმის ყველა შემთხვევაში აღემატება, მათ შორის გამორჩეულია მომსახურებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები (ვაკანსიაზე შეთავაზებული ხელფასი 54%-ით აღემატება არსებულს), ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები (ვაკანსიაზე შეთავაზებული ხელფასი 53%-ით აღემატება არსებულს), და დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი (ვაკანსიაზე შეთავაზებული ხელფასი 44%-ით აღემატება არსებულს). გამონაკლისია მენეჯერები, როდესაც ვაკანსიაზე შეთავაზებული ხელფასი 15%-ით ნაკლებია არსებულზე.

დიაგრამა 22 დასაქმებულთა საშუალო ხელფასები, ვაკანსიებზე შეთავაზებული ხელფასები და სხვაობა ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით



2023 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, **გამოკითხვის მომენტში, 332 საწარმოს** (6%) ჰქონდა ვაკანსია, საიდანაც საწარმოთა 74% მცირე ზომისაა, 16% საშუალო, ხოლო 10% მსხვილი ზომის. დარგების მიხედვით, არსებული ვაკანსიების სიმრავლით გამორჩეულია კვების პროდუქტების წარმოება - 34% (113 საწარმო), ასევე ორნიშნა ხვედრით წილით გამოირჩევიან ხის ნაწარმისა და ავეჯის წარმოების ქვედარგი - 12% (39 საწარმო) და ტექსტილის, ტანსაცმლისა და ტყავის პროდუქციის წარმოების ქვედარგი - 10 % (33 საწარმო). ამასთან, გამოკითხვის მომენტში, არსებული ვაკანსიების რაოდენობამ **1 989 ვაკანსია** შეადგინა, საიდანაც გამოცხადებულია 76% (1 518 ვაკანსია).

გამოცხადებული ვაკანსიებიდან 43% მსხვილი ზომის საწარმოებზე მოდის, 38% მცირე, ხოლო 19% საშუალო. სექტორების მიხედვით, გამოცხადებული ვაკანსიების განაწილება გვიჩვენებს, რომ დამამუშავებელ მრეწველობაზე გამოცხადებული ვაკანსიების 88% (1 252 ვაკანსია) მოდის, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სექტორზე 9% (152 ვაკანსია), ხოლო სამთომოპოვებითი მრეწველობის სექტორზე - 8% (126 ვაკანსია). დამამუშავებელ მრეწველობაში შემავალი ქვედარგებიდან გამორჩეულია კვების პროდუქტების წარმოების დარგი, რომელზეც მთლიანად მრეწველობის სექტორში გამოცხადებული ვაკანსიების 32% მოდის (483 ვაკანსია), ხოლო ტექსტილის, ტანსაცმლისა და ტყავის პროდუქტების წარმოებაზე - 10% (152 ვაკანსია). დანარჩენი ქვედარგები ორნიშნა ხვედრითი პროცენტული წილით არ გამოირჩევიან.

დიაგრამა 23 გამოკითხვის მომენტში გამოცხადებული ვაკანსიების განაწილება ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით



რაც შეეხება გამოკითხვის მომენტში არსებული ვაკანსიებიდან გამოცხადებული ვაკანსიების **ძირითადი პროფესიული ჯგუფების** მიხედვით განაწილებას, 40% ხელოსნებსა და მონათესავე სფეროების მუშებზე (611 ვაკანსია), 24% დამწყები კვალიფიკაციის მუშახელზე (362 ვაკანსია), ხოლო 10% დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორებსა და ამწყობებზე (159 ვაკანსია) მოდის. დანარჩენი ძირითადი პროფესიული ჯგუფები ორნიშნა ხვედრითი წილით არ ხასიათდება.

დიაგრამა 24 გამოკითხვის მომენტში არსებული ვაკანსიების განაწილება ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით



ელემენტარული პროფესიული ჯგუფებიდან გამოცხადებულ ვაკანსიათა 16% პურისმცხობელების, კონდიტერებისა და ტკბილეულის დამამზადებლების ჯგუფზე მოდის (237 ვაკანსია), 12% სამრეწველო სფეროს მუშებზე (188 ვაკანსია).

დიაგრამა 25. გამოკითხვის მომენტში არსებული ვაკანსიების განაწილება ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით



კვლევის შედეგების თანახმად, ბოლო 1 წლის განმავლობაში **ვაკანსიების შევსების პრობლემა** სულ 152 საწარმოს შეექმნა, აქედან 77% მცირე ზომისაა, 14% საშუალო ზომის, ხოლო 9% მსხვილი ზომის. ამ საწარმოთა 60% თბილისზე მოდის, ხოლო 40% სხვა დანარჩენ რეგიონებზე. ქვესექტორებიდან გამორჩეულია კვების მრეწველობა - 29%, ნავთობპროდუქტები, ქიმიკატები და ფარმაცევტული ნაწარმის მრეწველობა - 12%, ხის ნაწარმისა და ავეჯის წარმოება - 11%, სხვა არალითონური მინერალების წარმოება - 11%.

ვაკანსიათა შეუვსებლობის მიზეზად საწარმოთა 26% „აპლიკანტთა რაოდენობის ნაკლებობას“ ასახელებს, „აპლიკანტები არ იყვნენ კვალიფიციურები“ მიზეზად საწარმოთა 24%-მა დაასახელა, „აპლიკანტთა სამუშაო გამოცდილების ნაკლებობა“ – 17%-მა, „აპლიკანტებს შეთავაზებულზე მაღალი ხელფასის მოლოდინი ჰქონდათ“ 16%-მა, „აპლიკანტებს არ მოსწონდათ შეთავაზებული გარემო“ 10%-მა, „დიდი კონკურენცია სხვა დამსაქმებლისგან“ 3% -მა, „არავის მოუმართავს“ 3% -მა, ხოლო საწარმოთა 0.2% -მა ვაკანსიების შეუვსებლობის მიზეზად აპლიკანტების ზედმეტად კვალიფიციურობა დაასახელა.

დიაგრამა 26 ვაკანსიების შეუვსებლობის მიზეზები



საწარმოებს ვაკანსიების შევსების პრობლემა, ძირითადად ისეთ პროფესიულ ჯგუფებზე ჰქონდათ, როგორებიცაა: პურისმცხობელები და კონდიტერები (14%), სამრეწველო სფეროს მუშები (11%), მკერავები და მქარგავები (7%).

კვლევა ასევე ითვალისწინებდა ახალი კადრის აყვანის წყაროებისა და საშუალებების შესწავლას. კვლევის შედეგების მიხედვით. ახალი კადრების აყვანის ძირითად წყაროს წარმოადგენს პირადი კონტაქტები (57%), ასევე საკმაოდ დიდია ინტერნეტის (31%) ხვედრითი წილი. დასაქმების კერძო სააგენტოებს გამოკითხულთა 11% იყენებს, ხოლო worknet.gov.ge – 1%.

დიაგრამა 27 კომუნიკაციის წყაროები ახალი კადრების აყვანისას



კვლევის შედეგების მიხედვით, აპლიკანტთა შეფასების ძირითად საფუძველს წარმოადგენს გასაუბრება (41%), ასევე ფართოდ გამოიყენება სამუშაო გარემოში გამოცდა (30%) და გაწეული რეკომენდაციები (17%). ტესტირებას გამოკითხულთა 8% მიმართავს, ხოლო 3%-ის შეფასება სუბიექტური გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება;

დიაგრამა 28 აპლიკანტთა შეფასება



კვლევის შედეგების მიხედვით, სამუშაოზე აყვანისას უპირატესობა ენიჭებათ მათ, ვისაც აქვთ გარკვეული სამუშაო გამოცდილება - 44%, მათ, ვისაც სამუშაო გამოცდილება არ აქვთ, მაგრამ გააჩნიათ მოტივაცია - 20%, მათ, ვისაც რეკომენდაცია გაუწიეს ახლობლებმა - 9%, მათ, ვისაც რეკომენდაცია გაუწია არსებულმა თანამშრომელმა - 10%, მათ, ვინც ადგილზე გაიარეს პრაქტიკა - 14%, მათ, ვისაც სამუშაო გამოცდილება არ აქვთ, მაგრამ გააჩნიათ შესაბამისი თეორიული ცოდნა - 3%;

დიაგრამა 29 რომელ აპლიკანტს ენიჭება უპირატესობა



კვლევის თანახმად, ვაკანსიის შევსებასთან დაკავშირებული პრობლემის აღმოსაფხვრელად საწარმოებმა მიმართეს შემდეგ მეთოდებს: დაიწყო უფრო ინტენსიური ძებნა - 20%, სამუშაოს შესრულების ფუნქცია გადაეცა გარე მომსახურე მხარეს - 10%, არსებული სამუშაო ძალის გადამზადებით მოგვარდა ვაკანსიის შევსების პრობლემა - 7%, დროებით დაიქირავა სამუშაო ძალა - 7%, შეიცვალა სამუშაოს პირობები და/ან სხვა გარემოებები - 4%.

დიაგრამა 30 ვაკანსიის შევსებასთან დაკავშირებული პრობლემის აღმოფხვრის გზები



კითხვაზე - „საქმიანობიდან გამომდინარე გესაჭიროებათ თუ არა აპლიკანტის მიერ უცხო ენის ფლობა?“ - საწარმოთა 79%-ის მიერ დაფიქსირდა, რომ არ ესაჭიროება აპლიკანტთა მიერ უცხო ენის ცოდნა, 13%-ს უმეტეს შემთხვევაში არ ესაჭიროება, ხოლო 8%-ს უმეტეს შემთხვევაში, ესაჭიროება. იმ საწარმოებს, ვისაც ესაჭიროებათ აპლიკანტთა მიერ უცხო ენის ფლობა, 77% ითხოვს ინგლისურ ენას, 17% - რუსულს, 4% თურქულს, 2% - სხვა დანარჩენს.

დიაგრამა 31 უცხო ენის ფლობის საჭიროება



მოთხოვნა სამუშაო ძალაზე

სამუშაო ძალაზე სამომავლო მოთხოვნის განსაზღვრის მიზნით, კვლევის ფარგლებში გამოკითხულ საწარმოებს დაესვათ კითხვა - „აპირებთ თუ არა მუშახელის რაოდენობის გაზრდას მომდევნო 1 და 5 წლის განმავლობაში?“. კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხვის მომენტში, **მომდევნო 1 წლის განმავლობაში დასაქმებულთა მოსალოდნელმა ზრდამ 5 125 ადამიანი** შეადგინა, რაც არსებული დასაქმების 4.2%-ს შეადგენს.

მომდევნო 1 წლის განმავლობაში დასაქმებულთა მოსალოდნელი ზრდა მრეწველობის სექტორში შემავალი ქვესექტორების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: კვების პროდუქტების წარმოება - 36% (1 851 დასაქმებული), ტექსტილის, ტანსაცმლისა და ტყავის პროდუქტების წარმოება - 17% (853 დასაქმებული), სხვა არალითონური მინერალური პროდუქციის წარმოება - 11% (572 დასაქმებული), ნავთობპროდუქტების, ქიმიკატებისა და ფარმაცევტული პროდუქციის წარმოება - 8% (413 დასაქმებული), ხის ნაწარმისა და ავეჯის წარმოება - 8% (390 დასაქმებული).

რაც შეეხება, მოსალოდნელ ზრდას **ძირითადი პროფესიული ჯგუფების** მიხედვით, ყველაზე მაღალი მოსალოდნელი ზრდა ხელოსნებისა და მონათესავე სფეროების მუშების პროფესიული ჯგუფის წარმომადგენლებს ეხება - 61% (3 104 დასაქმებული), შემდეგ მოდის დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი - 12% (601 დასაქმებული), დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები - 10% (522 დასაქმებული), სპეციალისტები - 8% (421 დასაქმებული), მენეჯერები - 4% (211 დასაქმება), მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები - 2% (113 დასაქმებული), ოფისის დამხმარე პერსონალი - 2% (78 დასაქმებული), ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები - 1% (58 დასაქმებული).

დიაგრამა 32 მომდევნო 1 წლის განმავლობაში მოსალოდნელი ზრდა ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით



მომდევნო 1 წლის განმავლობაში დასაქმებულთა მოსალოდნელი ზრდა **ელემენტარული პროფესიული ჯგუფების** მიხედვით ასე გადანაწილდა: პურისმცხობელები, კონდიტერები და ტკბილეულის დამამზადებლები - 26%, მკერავები, ქალის ტანსაცმლის მკერავები, მექურქეები და მექუდეები - 8%, მკერავები, მქარგავები და მონათესავე სფეროების ხელოსნები - 6%, სამრეწველო სფეროს მუშები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას - 3%, დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშაკები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას - 4%, გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები - 2%, მრეწველობისა და წარმოების ინჟინრები - 2%, ავეჯის

გადამკვრელები და მონათესავე სფეროების ხელოსნები - 2%, ხელოსნები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი - 2%, ტექნიკის (ინჟინერიის) სფეროს სპეციალისტი-პროფესიონალები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი - 3%.

დიაგრამა 33 მომდევნო 1 წლის განმავლობაში მოსალოდნელი ზრდა ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით



მომდევნო 1 წლის განმავლობაში მოსალოდნელი ზრდა(მოსალოდნელი ზრდის რაოდენობა / არსებული დასაქმება 2023 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით), ისეთ ელემენტარულ პროფესიულ ჯგუფებში სადაც მოსალოდნელი ზრდა აღემატება 50 დასაქმებულს, გვიჩვენებს, რომ სამომავლოდ მოთხოვნა მაღალი იქნება ქსოვილის საფეიქრო და საქსოვი მანქანების ოპერატორებზე - 34%, ასევე გამოსარჩევია ტექნიკის (ინჟინერიის) სფეროს სპეციალისტი-პროფესიონალები (23%) და პურისმცხობელები, კონდიტერები და ტკბილეულის დამამზადებლები (22%).

დიაგრამა 34 მოსალოდნელი ზრდა მომდევნო 1 წლის განმავლობაში, ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით



კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხვის მომენტში, **მომდევნო 5 წლის განმავლობაში დასაქმებულთა მოსალოდნელმა ზრდამ 9 589 ადამიანი შეადგინა,** რაც არსებული დასაქმების 8%-ია.

მომდევნო 5 წლის განმავლობაში, ქვედარგების მიხედვით არსებული მოსალოდნელი ზრდა შემდეგნაირად გადანაწილდა: კვების პროდუქტების წარმოება - 2977 დასაქმებული (31%), ტექსტილის, ტანსაცმლისა და ტყავის პროდუქტების წარმოება - 1647 დასაქმებული (17%), სხვა არალითონური მინერალური პროდუქციის წარმოება - 1157 დასაქმებული (12%), ნავთობპროდუქტების, ქიმიკატებისა და ფარმაცევტული პროდუქციის წარმოება - 685 დასაქმებული (7%), ხის ნაწარმისა და ავეჯის წარმოება - 836 დასაქმებული (9%), დამამუშავებელი მრეწველობის სექტორში შემავალი დანარჩენი ქვედარგები - 533 დასაქმებული (6%), სასმელის წარმოება - 576 დასაქმებული (6%), ლითონის მზა ნაწარმის წარმოება - 302 დასაქმებული (3%), ტექნიკის, მანქანებისა და მოწყობილობების წარმოება - 384 დასაქმებული (4%), წყალმომარაგება და კანალიზაცია - 261 დასაქმებული (3%), სამთომოპოვებითი მრეწველობა - 142 დასაქმებული (1%), ძირითადი ლითონების წარმოება - 88 დასაქმებული (1%).

ხოლო, რაც შეეხება მოსალოდნელ ზრდას ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით: ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები - 5454 დასაქმებული (57%), არაკვალიფიციური მუშაკები - 1343 დასაქმებული (14%), დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები - 960 დასაქმებული (10%), სპეციალისტი-პროფესიონალები - 791 დასაქმებული (8%),მენეჯერები - 456 დასაქმებული (5%), ოფისის დამხმარე პერსონალი - 208 დასაქმებული (2%), მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები - 185 დასაქმებული (2%), ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები - 160 დასაქმებული (2%).

მომდევნო 5 წლის განმავლობაში დასაქმებულთა მოსალოდნელი ზრდა ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით ასე გადანაწილდა: პურისმცხობელები, კონდიტერები და ტკბილეულის დამამზადებლები - 22%, მკერავები, ქალის ტანსაცმლის მკერავები, მექურქეები და მექუდეები - 8%, მკერავები, მქარგავები და მონათესავე სფეროების ხელოსნები - 6%, სამრეწველო სფეროს მუშები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას - 5%, დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშაკები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას - 4%, გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები - 2%, მრეწველობისა და წარმოების ინჟინრები - 2%, ავეჯის გადამკვრელები და მონათესავე სფეროების ხელოსნები - 2%, ხელოსნები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი - 2%, ტექნიკის (ინჟინერიის) სფეროს სპეციალისტი-პროფესიონალები - 2%.

დიაგრამა 35 მომდევნო 5 წლის განმავლობაში მოსალოდნელი ზრდა ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით



მომდევნო 1 და 5 წლის განმავლობაში საწარმოები პროგნოზირებენ დასაქმებულთა უმნიშვნელო კლებას (1 წლის განმავლობაში 63 დასაქმებული, 5 წლის განმავლობაში 73 დასაქმებული).

სამუშაო ძალის განვითარება

კვლევის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა მრეწველობის სექტორში დამსაქმებლის მიერ სწავლებასა და გადამზადებაზე გაწეული საქმიანობის შესწავლა.

კვლევის შედეგების მიხედვით, ბოლო 12 თვის განმავლობაში 207-მა საწარმომ გადაამზადა დასაქმებული. ამ საწარმოებიდან, 55% თბილისზე მოდის, ხოლო 45% სხვა დანარჩენ რეგიონებზე. საწარმოების 56% მცირე ზომის, 25% საშუალო ზომის, ხოლო 16% მცირე ზომისაა.

საწარმოები, რომელთაც გადაამზადეს დასაქმებულები, სექტორულ ჭრილში ასე ნაწილდება: საწარმოთა 27% კვების პროდუქტების წარმოების დარგზე მოდის (57 საწარმო), 14% ნავთობპროდუქტების, ქიმიკატებისა და ფარმაცევტული პროდუქტების წარმოების დარგზე (29 საწარმო), ხოლო 10% სასმელი პროდუქტების წარმოებაზე (20 საწარმო). დანარჩენი ქვედარგები ორნიშნა ხვედრითი პროცენტული წილით არ ხასიათდებიან.

განსხვავებულია საწარმოთა ჩართულობის დონე დასაქმებულთა გადამზადებაში საწარმოთა ზომის მიხედვით. სულ მსხვილი ზომის საწარმოების 41%-ია ისეთი, რომელმაც ბოლო 12 თვის განმავლობაში გადაამზადა თანამშრომელი (83-დან 34 მსხვილი ზომის საწარმო), აღნიშნული მაჩვენებელი საშუალო ზომის საწარმოებში 15%-ია, ხოლო მცირე ზომის საწარმოებში ყველაზე დაბალი - 2%.

საწარმოების მიერ **გადამზადებულთა რაოდენობამ 3 146 ადამიანი** შეადგინა, რაც არსებული დასაქმების 3%-ია. ამ დასაქმებულთა 38% თბილისზე მოდის, ხოლო 62% სხვა დანარჩენ რეგიონებზე,

გადამზადებული დასაქმებულების 56% მსხვილი ზომის საწარმოებზე მოდის, 29% საშუალო ზომის, ხოლო 15% მცირე ზომის საწარმოებზე.

დარგების მიხედვით გადამზადებულ დასაქმებულთა 28% სხვა არალითონური მინერალური პროდუქციის წარმოებაზე მოდის (878 დასაქმებული), მას მოსდევს კვების პროდუქტების წარმოებაა - 19% (583 დასაქმებული), ნავთობპროდუქტების, ქიმიკატებისა და ფარმაცევტული პროდუქციის წარმოება- 12% (392 დასაქმებული), სასმელის წარმოება - 11% (356 დასაქმებული). დანარჩენი დარგები ორნიშნა ხვედრითი პროცენტული წილით არ ხასიათდებიან.

დიაგრამა 36 გადამზადებული დასაქმებულების განაწილება სექტორებისა და საწარმოთა ზომის მიხედვით



რაც შეეხება, საწარმოების მიერ დაფინანსებული ტრენინგების სფეროებს. საწარმოს მიერ დაფინანსებული პროგრამების 79% კვალიფიკაციის ამაღლებაზე მოდის, 10% საინფორმაციო ტექნოლოგიებზე, ხოლო 5% უცხო ენებზე.

დიაგრამა 37 დაფინანსებული ტრენინგები სფეროების მიხედვით



საწარმოების მიერ დაფინანსებული პროგრამები ძირითად პროფესიულ ჯგუფებთან მიმართებით გამოსარჩევია მენეჯერებზე, სპეციალისტებზე, ხელოსნებსა და მონათესავე სფეროს მუშებზე და ასევე, დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორებზე. კერძოდ:

მენეჯერების ძირითადი ჯგუფში გამოსაყოფია ადმინისტრაციული და კომერციული მენეჯერები; წარმოებისა და სპეციალიზებული მომსახურების მენეჯერები.

სპეციალისტების ძირითადი პროფესიული ჯგუფში ბიზნესისა და ადმინისტრირების სპეციალისტები.

ხელოსნების ძირითად პროფესიულ ჯგუფში კვების, ხის დამმუშავებელი, ტექსტილისა და სამკერვალო მრეწველობის და მონათესავე სფეროების ხელოსნები და მუშები; ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების სფეროების მუშები.

დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორების ძირითადი პროფესიული ჯგუფში სტაციონარული სამრეწველო დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები; მძღოლები და მოძრავი დანადგარების ოპერატორები.

საწარმოთა უმრავლესობამ, რომლებმაც არ გადაამზადეს დასაქმებულები (87%,) ამის მიზეზად დაასახელა რომ დასაქმებულებს არ ესაჭიროებათ გადამზადება, ხოლო 11%-ს არ ჰქონდა ამის ფინანსური სახსრები. ამასთან, საწარმოები, რომლებმაც „შესაბამისი ფინანსური სახსრების არქონის“ გამო ვერ გადაამზადეს დასაქმებულები, ყველაზე მაღალი წილით კვების პროდუქტების წარმოების დარგში გამოირჩევიან - 28%, შემდეგ მოდის ხის ნაწარმისა და ავეჯის წარმოება - 15% და სხვა არალითონური მინერალების წარმოება - 10%.

კვლევის შედეგების მიხედვით, საწარმოთა 51% ფლობს ინფორმაციას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ,,დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს" სახელმწიფო პროგრამების შესახებ.

„დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს" სახელმწიფო პროგრამის შესახებ ინფორმაციას მსხვილი ზომის საწარმოების 70%-ში ფლობენ (58 საწარმო 83-დან), საშუალო ზომის საწარმოების 59%-ში

(192 საწარმო 324-დან), ხოლო მცირე ზომის საწარმოების 50%-ში (2 568 საწარმო 5170-დან). ამასთან, იმ საწარმოთა 41% (1156 საწარმო), რომლებიც ფლობენ ინფორმაციას ,,დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს" სახელმწიფო პროგრამის შესახებ, მდებარეობს თბილისში, ხოლო 59% (1 662 საწარმო) სხვა დანარჩენ რეგიონებში.

დიაგრამა 38 დასაქმებულთა არ გადამზადების მიზეზები



თანამშრომელთა შესანარჩუნებლად მოტივაციის გაზრდის მხრივ დამსაქმებლების მხრიდან თითქმის თანაბრად გამოიყენება: ფულადი ჯილდოს მიცემა (28%) და მადლობის გამოცხადება (27%), 8% დაწინაურების მეთოდს მიმართავს, 4% ფასიანი საჩუქრის მიცემას. საწარმოთა 33% არ იყენებს არანაირ მექანიზმს.

დიაგრამა 39 დასაქმებულთა მოტივაციის მექანიზმები



გამოკითხული საწარმოების მეხუთედს (20%) აქვს სტრატეგია/გზამკვლევი თანამშრომელთა განათლებისა და დამატებითი ტრენინგების მიმართულებით. რაც შეეხება ამ საწარმოთა განაწილებას, საწარმოთა ზომის მიხედვით, ასე გამოიყურება: მსხვილი ზომის საწარმოები - 70%, საშუალო ზომის საწარმოები - 46%, ხოლო მცირე ზომის საწარმოები 18%. ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით თანამშრომელთა განათლებისა და დამატებითი ტრენინგების მიმართულებით სტრატეგიის არსებობა მაღალია წყალმომარაგებისა და კანალიზაციის (38%), ძირითადი ლითონების წარმოების (32%), ნავთობპროდუქტების, ქიმიკატებისა და ფარმაცევტული ნაწარმის წარმოების (26%), ტექნიკის, მანქანებისა და მოწყობილობების წარმოების (25%), სასმელების წარმოების (24%) ქვესექტორების საწარმოებში. დანარჩენ ქვესექტორებში არსებულ საწარმოებში თანამშრომელთა განათლებისა და დამატებითი ტრენინგების მიმართულებით სტრატეგიის/გზამკვლევის არსებობა მერყეობს 17-20%-ში.

პროფესიული განათლება

კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა მრეწველობის სექტორში პროფესიული განათლების მქონე ადამიანების დასაქმების მაჩვენებელი, დამსაქმებელთა დამოკიდებულება პროფესიული სწავლების მიმართ და მათი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის ფორმები (სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება, სტუდენტებისთვის საწარმოო პრაქტიკის შეთავაზება, პროფესიულ სტანდარტების შემუშავებაში მონაწილეობა).

გამოკითხვის მიხედვით, კითხვაზე „ძირითადად რა სახის განათლებაა საჭირო თქვენ საწარმოში სამუშაოს/საქმის განსახორციელებლად“ პასუხები ასე გადანაწილდა: პროფესიული განთლება საჭიროდ დასახელდა საწარმოთა - 40%-ში, სრული ზოგადი განათლება - 32%-ში, უმაღლესი განათლება - 13%-ში, ხოლო არაფორმალური განათლება - 15%-ში.

პროფესიული განათლების საჭიროების წილი ყველაზე მაღალი ტექსტილის, ტანსაცმლისა და ტყავის პროდუქციის წარმოების სექტორშია - 57%, უმაღლესი განათლება - სასმელი პროდუქციის წარმოების სექტორში - 36%, სრული ზოგადი განათლება კვების პროდუქტების წარმოების სექტორში - 41% და არაფორმალური განათლება ასევე კვების პროდუქტების წარმოების სექტორში - 20%.

დიაგრამა 40 საწარმოებში სამუშაოს განსახორციელებლად აუცილებელი განათლების ტიპი



კვლევის შედეგების თანახმად, **1 857 საწარმოს (33%)** დასაქმებული ჰყავს პროფესიული განათლების მქონე ადამიანი. ამ საწარმოთა განაწილება ზომის მიხედვით ასე გამოიყურება: მცირე ზომის საწარმო - 85%, საშუალო ზომის საწარმო - 11%, მსხვილი ზომის საწარმო - 4%. თუმცა, მსხვილი ზომის საწარმოების 83%-ს ჰყავს პროფესიული განათლების მქონე პირი დასაქმებული (83-დან 69 საწარმო), საშუალო ზომის საწარმოების 63%-ს (204 საწარმო), ხოლო მცირე ზომის საწარმოების 31%-ს(1584 საწარმო).

პროფესიული განათლების მქონე **დასაქმებულთა რაოდენობამ 24 119 შეადგინა,** რაც სექტორში დასაქმებულების 19%-ს შეადგენს. აქედან 48% მსხვილი ზომის საწარმოებში არიან დასაქმებულები, 30% მცირე, ხოლო 22% საშუალო ზომის საწარმოებში.

პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულთა 34% თბილისზე მოდის, ხოლო 66% დანარჩენ რეგიონებზე.

პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულები მრეწველობის ქვედარგების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდნენ: კვების პროდუქტების წარმოება - 4986 დასაქმებული (21%), ძირითადი ლითონების წარმოება - 3313 დასაქმებული (14%), სამთომოპოვებითი მრეწველობა - 3240 დასაქმებული (13%), ტექსტილის, ტანსაცმლისა და ტყავის პროდუქტების წარმოება - 2125 დასაქმებული (9%), წყალმომარაგება და კანალიზაცია - 1906 დასაქმებული (8%), სხვა

არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება - 1793 დასაქმებული (7%), სასმელის წარმოება - 1757 დასაქმებული (7%), ლითონის მზა ნაწარმის წარმოება - 1278 დასაქმებული (5%), ნავთობპროდუქტების, ქიმიკატებისა და ფარმაცევტული პროდუქციის წარმოება - 1156 დასაქმებული (5%), ტექნიკის, მანქანებისა, მოწყობილობების წარმოება - 969 დასაქმებული (4%), ხის ნაწარმისა და ავეჯის წარმოება - 924 დასაქმებული (4%), დამამუშავებელი მრეწველობის სექტორში შემავალი დანარჩენი ქვედარგები - 672 დასაქმებული (3%).

დიაგრამა 41 პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომისა და დარგების მიხედვით



კვლევის ფარგლებში დამსაქმებლებს, ეთხოვათ შეეფასებინათ დასაქმებულები 1-დან 5 ქულამდე შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით (სადაც „5“ ნიშნავს - „სრულიად დამაკმაყოფილებელია“, ხოლო „1“ – „საერთოდ არ არის დამაკმაყოფილებელი“). კვლევის თანახმად, პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულების 62% შეფასებულია 5 ქულით, 4 ქულით შეფასდა - 30%, 3 ქულით - 7% და 2 ქულით 1%.

დამსაქმებელთა უმრავლესობა (75%) მიიჩნევს, რომ მათ საწარმოში დასაქმებული პროფესიული განათლების მქონე ადამიანები არ საჭიროებენ დამატებით გადამზადებას, ხოლო 8% ხედავს დამატებითი გადამზადების საჭიროებას.

საწარმოების უმრავლესობა (62%) დადებითად აფასებს პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულებს. მესამედი (30%) აძლევს კარგ, ხოლო 7% დამაკმაყოფილებელ შეფასებას და მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი აფასებს უარყოფითად პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულებს.

კვლევის კიდევ ერთ ამოცანას წარმოადგენს საწარმოების და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობის შესწავლა, როგორც რაოდენობრივი, ასევე თანამშრომლობის ტიპების შესწავლის თვალსაზრისით. ასევე თუ რა შედეგი მოაქვს ამ თანამშრომლობას დასაქმების მიმართულებით.

კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხული საწარმოების მხოლოდ 4**%** (196 საწარმო) თანამშრომლობს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. მათგან 63% მცირე ზომის საწარმოა (124 საწარმო, რაც არსებულ მცირე ზომის საწარმოთა 2%-ია), საშუალო ზომის საწარმოები - 23% (45 საწარმო, რაც არსებულ საშუალო ზომის საწარმოთა 14%-ია), ხოლო მსხვილი საწარმოები - 14% (27 საწარმო, რაც სულ არსებული მსხვილი ზომის საწარმოების 33%-ია).

საწარმოები პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის მხრივ თანამშრომლობის 3 ფორმიდან (სტუდენტებისთვის საწარმოო პრაქტიკის შეთავაზება, პროფესიული სტანდარტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებაში მონაწილეობის მიღება) ყველაზე ხშირად მიმართავენ სტუდენტებისთვის საწარმოო პრაქტიკის შეთავაზებას (51%). ამასთან, სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში მონაწილეობასთან (28%) მიმართებით თანამშრომლობა 28%-ს ხოლო საწარმოთა მხრიდან პროფესიული სტანდარტების შემუშავებაში ჩართულობის კუთხით თანამშრომლობა 19%-ს შეადგენს.

დიაგრამა 42 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის ტიპი



პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სამომავლო თანამშრომლობის სურვილი საწარმოთა 11%-მა გამოთქვა, მზაობა 6%, ხოლო საჭიროება - 3%. თანამშრობლობის სურვილი/ მზაობა/ საჭიროება არ აქვთ საწარმოთა 50%-ს, „არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა“ - 29%-მა დააფიქსირა.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობის (საჭიროება/ მზაობა/ სურვილი) ფორმები შემდეგნაირად გადანაწილდა - სტუდენტებისთვის საწარმოო პრაქტიკის შეთავაზება - 36%, სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში მონაწილეობის მიღება - 36%, პროფესიული სტანდარტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება - 28%, სხვა - 1%.

დიაგრამა 43 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის სასურველი ტიპი



იმ 196 საწარმოდან, რომლებიც თანამშრომლობენ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის შედეგად, **83 საწარმოს (42%) ჰყავს დასაქმებული 593 ადამიანი**. აქედან, 40% მსხვილი ზომის საწარმოებზე

მოდის. დარგების მიხედვით კი უმრავლესობა ტექნიკის, მანქანებისა, სხვა მოწყობილობების წარმოებაზე მოდის - 26% (154 დასაქმებული). ასევე ორნიშნა ხვედრითი წილით ხასიათდება სამთომომპოვებით მრეწველობის სექტორი - 21% (122 დასაქმებული) და ტექსტილის, ტანსაცმლისა და ტყავის პროდუქტების წარმოების სექტორი - 10% (61 დასაქმებული).

საწარმოების უმრავლესობა საშუალოდ (36%) და დადებითად (30%) აფასებენ ქვეყანაში პროფესიული განათლების დონეს. ერთ მესამედზე (32%) მეტს არა აქვს პასუხი/უჭირს პასუხის გაცემა აღნიშნულთან დაკავშირებით, ხოლო ძალიან მცირე ჯგუფი უარყოფითად (2%) არის განწყობილი.

საწარმოთა მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ ცოდნასთან დაკავშირებით, კვლევის შედეგად გამოვლენილ იქნა, რომ საწარმოების 21% სრულიად ენდობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ ცოდნას, თითქმის ნახევარი (47%) კი მეტნაკლებად ენდობა, ხოლო საწარმოების მცირე ნაწილი არ ენდობა (2%). ამასთან, საყურადღებოა, რომ მიჭირს პასუხის გაცემა გამოკითხულთა 30%-მა დააფიქსირა.

დიაგრამა 44 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სანდოობის შეფასება



საწარმოების უმრავლესობა სახელმწიფოს მხრიდან ინვესტიციების განხორციელების მხრივ **პრიორიტეტულ მიმართულებად** პროფესიულ განათლებას ასახელებს (50%), მეხუთედი (21%) პრიორიტეტულ მიმართულებად თვლის უმაღლეს განათლებას, 14% - საშუალო განათლებას, ხოლო პასუხად „არ ვიცი“ 15%-ის მიერ დაფიქსირდა.

დიაგრამა 45. სად უნდა იყოს სახელმწიფოსათვის ინვესტიციების ჩადება პრიორიტეტული



დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები

კვლევის კიდევ ერთ ამოცანას წარმოადგენს მრეწველობის სექტორის საწარმოებში უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებაზე ინფორმაციის მოძიება და გაანალიზება. კვლევა სწავლობს უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებას სხვადასხვა ჭრილში (შორის საწარმოთა ზომის, რეგიონის, ეკონომიკურ საქმიანობათა სახეებისა და პროფესიული ჯგუფების მიხედვით), ასევე მათი დასაქმების მიზეზებს.

2023 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით მრეწველობის სექტორში **275 საწარმოში (სექტორში საწარმოთა წილი 5%) 1021 უცხო ქვეყნის მოქალაქე იყო დასაქმებული,** რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 6%-ით არის გაზრდილი და შეადგენს მრეწველობის სექტორში დასაქმების 1%-ს. მათგან 37% (377 დასაქმებული) თბილისშია დასაქმებული, ხოლო 63% (644 დასაქმებული) საქართველოს სხვა დანარჩენ რეგიონში. ამასთან, დასაქმებულთა 49% მსხვილი ზომის საწარმოებზე მოდის, 30% მცირეზე, ხოლო 21% საშუალოზე.

მრეწველობის სექტორში უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმების მხრივ გამოირჩევა: სამთომოპოვებითი მრეწველობა - 180 დასაქმებული (18%), ძირითადი ლითონების წარმოება - 167 დასაქმებული (16%), ნავთობპროდუქტების, ქიმიკატებისა და ფარმაცევტული პროდუქციის წარმოება - 145 დასაქმებული (14%), კვების პროდუქტების წარმოება - 128 დასაქმებული (13%). დანარჩენი სექტორები ორნიშნა ხვედრითი წილით არ გამოირჩევიან.

დიაგრამა 46 დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები, საწარმოთა ზომისა და სექტორების მიხედვით



2023 წელს წინა წელთან შედარებით მრეწველობის სექტორში უცხო ქვეყნის მოქალაქეების ზრდით გამოირჩეოდა: ხის ნაწარმისა და ავეჯის (35%), ასევე სასმელების წარმოების (18%), ნავთობპროდუქტების, ქიმიკატებისა და ფარმაცევტული წარმოებისა (11%) და კვების პროდუქტების წარმოების (10%) ქვესექტორები. უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმება შემცირდა: ლითონის მზა ნაწარმის წარმოების (-16%) და სხვა არალითონური მინერალური პროდუქციის წარმოების (-16%) ქვესექტორებში.

2023 წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეები ყველაზე ფართოდ იყვნენ წარმოდგენილები მენეჯერების (33%), დანადგარების ოპერატორების (18%), ხელოსნებისა (15%) და სპეციალისტების (8%) ძირითადი პროფესიული ჯგუფების პოზიციებზე.

ელემენტარული პროფესიული ჯგუფებიდან გამოსარჩევია: მმართველი დირექტორები და უმაღლესი რგოლის მენეჯერები (20%), სამრეწველო სფეროს მუშები (9%), მაღაროსა და კარიერის მუშები (8%), გაყიდვების წარმომადგენლები (6%), ინჟინერ-მექანიკოსები (3%), დამამუშავებელი მრეწველობის მენეჯერები (3%), გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები (3%), ხელოსნები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი (2%), მამაკაცის და ქალის ტანსაცმლის მკერავები (2%), წარმოების კლერკები (2%), ფინანსური მენეჯერები (2%), მრეწველობისა და წარმოების ინჟინრები (2%), ლითონის დასამუშავებელი დანადგარების ოპერატორები (2%), ამწეების, საწეველების და მსგავსი მანქანების ოპერატორები (2%), კომერციული მომსახურებისა და ადმინისტრაციის მენეჯერები (2%), სატვირთო ავტომობილების მძღოლები (2%).

დიაგრამა 47 დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით



უცხო ქვეყნის მოქალაქეები ყველაზე მეტად წარმოდგენილები არიან მენეჯერულ პოზიციებზე და ამის მიზეზს წარმადგენს ის, რომ საწარმოს ჰყავს უცხოელი დამფუძნებელი (48%) ან არის უცხოური კომპანიის ფილიალი (4%). 13% თვლის, რომ ბაზარზე არ არის საჭირო კვალიფიკაციის მქონე კადრი და 10% უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებას ხსნის დაბალი ანაზღაურებით. საწარმოებმა, რომლებმაც უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმების მიზეზად ბაზარზე საჭირო კვალიფიკაციისა და უნარების მქონე კადრების ნაკლებობა დაასახელეს, მათ მიერ ასეთ პროფესიულ ჯგუფებად დააფიქსირდა: ხელოსნები (33%), სპეციალისტები (26%), ტექნიკოსები (14%), მენეჯერები (10%), დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები (9%).

დიაგრამა 48 დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები (ადგილობრივ ბაზარზე საჭირო კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალის არარსებობა)



პირველი სამუშაოს მაძიებლები

კვლევის შედეგების მიხედვით, 2023 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, ბოლო 12 თვის განმავლობაში **საწარმოთა 2%-ს (131 საწარმო)** ჰყავდა პირველი სამუშაოს მაძიებელი დასაქმებული. აქედან, 64% მცირე ზომის საწარმოა, 19% საშუალო ზომის, ხოლო 17% მსხვილი ზომის საწარმო. ამ საწარმოთა 43% თბილისზე მოდის, ხოლო 57% სხვა დანარჩენ რეგიონებზე.

რაც შეეხება ქვესექტორების მიხედვით საწარმოთა განაწილებას, ამ საწარმოთა უმრავლესობა კვების პროდუქტების წარმოების დარგზე მოდის - 32% (41 საწარმო), მას მოსდევს სასმელი პროდუქტების წარმოება - 13% (17 საწარმო), ხის ნაწარმისა და ავეჯის პროდუქტების წარმოება - 12% (16 საწარმო), ნავთობპროდუქტების, ქიმიკატებისა და ფარმაცევტული პროდუქტების წარმოება - 10% (13 საწარმო). დანარჩენი სექტორები ორნიშნა ხვედრითი წილით არ გამოირჩევიან.

პირველი სამუშაოს მაძიებელთა **დასაქმებამ 904 ადამიანი** შეადგინა, საიდანაც ყველაზე მეტი (68%) იყო საშუალო განათლებით, 20% - პროფესიული, ხოლო 12% - უმაღლესი განათლებით.

დიაგრამა 49 პირველი სამუშაოს მაძიებლები განათლების მიღწეული დონის მიხედვით



პირველი სამუშაოს მაძიებელთა განაწილება სექტორების მიხედვით გვიჩვენებს, რომ დასაქმებულთა მხოლოდ 4% მოდის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქვესექტორზე (39 დასაქმებული), ხოლო სამთომოპოვებითი მრეწველობის ქვესექტორზე 1% (10 დასაქმებული). დამამუშავებელი მრეწველობის ქვესექტორზე ასეთი ტიპის დასაქმებულთა 95% მოდის. რაც შეეხება მასში შემავალ ქვედარგებს - პირველი სამუშაოს მაძიებელთა დასაქმებით ყველაზე მეტად კვების პროდუქტების წარმოების ქვედარგი გამოირჩევა - 345 დასაქმებული (მთლიანი მრეწველობის სექტორის 38%). შემდეგ მოდის სასმელის წარმოება - 119 დასაქმებული (13%), სხვა არალითონური მინერალური პროდუქციის წარმოება - 93 დასაქმებული (10%), დამამუშავებელ მრეწველობაში გაერთანებული დანარჩენი ქვედარგები - 89 დასაქმებული (10%).

დიაგრამა 50 პირველი სამუშაოს მაძიებლები მრეწველობის დარგების მიხედვით



რაც შეეხება დამსაქმებელთა მხრიდან, დასაქმებულ პირველი სამუშაოს მაძიებლების შეფასებას, კვლევის თანახმად საწარმოების 43%-მა პოზიტიურად შეაფასა პირველი სამუშაოს მაძიებლები, რომელთაგან 35%-მა მისცა კარგი, ხოლო 8%-მა ძალიან კარგი შეფასება. ამასთან, პირველ სამუშაოს მაძიებლებს საწარმოთა 43%-მა საშუალო შეფასება მისცა, ხოლო საწარმოების 14%-მა დაბალი შეფასება.

თანამედროვე ტექნოლოგიები

კვლევის ერთ-ერთ ამოცანაა, იმის შესწავლა თუ რამდენად იყენებენ მრეწველობის სექტორში საწარმოები თანამედროვე ტექნოლოგიებს და როგორია უახლოეს პერიოდში მათი დამოკიდებულება ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებით. ტექნოლოგიების გამოყენება და დანერგვა თავის მხრივ მიუთითებს სექტორის განვითარებაზე, კონკურენტუნარიანობასა და მაღალკვალიფიციურ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შესაძლო ზრდაზე.

კვლევის შედეგების მიხედვით, **საწარმოების 11%-მა (612 საწარმო)** განაცხადა, რომ იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს. საქმიანობათა სახეების მიხედვით ტექნოლოგიების გამოყენების მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევიან: წყალმომარაგება და კანალიზაციის (26%), სასმელების წარმოების (18%), ტექნიკის, მანქანებისა და მოწყობილობების წარმოების (16%) დარგები.

დიაგრამა 51 საწარმოთა განაწილება მრეწველობის დარგების მიხედვით, რომლებიც იყენებენ ტექნოლოგიებს



კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა, ასევე საწარმოთა მიერ გამოყენებული ტექნოლოგიების სახეები. კვლევის შედეგების თანახმად, თანამედროვე ტექნოლოგიებიდან 54% საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე მოდის, 18% სუფთა ტექნოლოგიებზე, 14% ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე (IT), 11% რობოტიკასა და ავტომატიზაციაზე, ხოლო 4% განახლებად ენერგიასა და მდგრადობაზე.

დიაგრამა 52 გამოყენებული ტექნოლოგიების სახეები



აქედან:

- **საკომუნიკაციო ტექნოლოგიებიდან** მაღალი ხვედრითი წილით ხასიათდება მობილური აპლიკაციები - 37%, შემდეგ მოდის სოც. მედია პლატფორმები - 26%, IP (ინტერნეტ პროტოკოლის) ტელეფონი - 23% და ვიდეო კონფერენციის პლატფორმები - 14%;



- **სუფთა ტექნოლოგიები:** ჰაერის დაბინძურების კონტროლი - 39%, წყლის გამწმენდი - 26%, ნარჩენების მართვა და გადამუშავება - 24%, მდგრადი მასალები - 7%, მწვანე სამშენებლო ტექნოლოგიები - 5%;



- **ინფორმაციული ტექნოლოგიები (IT):** მანქანური შესწავლა - 55%, კიბერუსაფრთხოება - 19%, ხელოვნური ინტელექტი - 13%, BIG DATA ანალიტიკა - 7%, ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურა - 5%, ბლოკჩეინი - 2%;



- **რობოტიკა და ავტომატიზაცია:** ავტონომიური მანქანები - 55%, სამრეწველო რობოტიკა - 39%, დრონები - 5%, კოლაბორაციული რობოტები - 1%;



- **განახლებადი ენერგია და მდგრადობა:** მზის ენერგია - 50%, ენერგიის შენახვის ტექნოლოგიები - 26%, ჰიდროენერგია - 22%, ქარის ენერგია - 2%, გეოთერმული ენერგია - 0%;



გამოკითხულ საწარმოთა **4% (201 საწარმო)** გეგმავს მომავალში განახორციელოს ინვესტირება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაში.

რაც შეეხება იმ საწარმოთა დარგობრივ ჭრილს, რომელიც გეგმავს მომავალში თანამედროვე ტექნოლოგიებში ინვესტირების განხორციელებას, კვლევამ შემდეგი სურათი აჩვენა. ამ საწარმოთა 28% კვების პროდუქტების წარმოების დარგზე მოდის, რაც 57 საწარმოს შეადგენს, შემდეგ მოდის სასმელების წარმოების დარგი - 26 საწარმო (13%) და სხვა არალითონური მინერალური პროდუქციის წარმოების დარგი - 26 საწარმო (13%). ასევე ორნიშნა ხვედრითი წილით ხასიათდება ნავთობპროდუქტების, ქიმიკატებისა და ფარმაცევტული პროდუქციის წარმოების დარგი - 22 საწარმო (11%).

დიაგრამა 53 საწარმოთა განაწილება მრეწველობის დარგების მიხედვით, რომლებიც აპირებენ თანამედროვე ტექნოლოგიებში ინვესტირებას



თანამედროვე ტექნოლოგიებში მოსალოდნელი სამომავლო ინვესტირებიდან 33% საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე მოდის, 21% სუფთა ტექნოლოგიებზე, 19% ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე (IT), 16% რობოტიკასა და ავტომატიზაციაზე, ხოლო 12% განახლებად ენერგიასა და მდგრადობაზე.

დიაგრამა 54 თანამედროვე ტექნოლოგიებში მოსალოდნელი ინვესტირების სფეროები



აქედან:

- **საკომუნიკაციო ტექნოლოგიები:** მობილური აპლიკაციები - 38%, სოციალური მედიის პლატფორმები - 29%, IP (ინტერნეტ პროტოკოლის) ტელეფონი - 20%, ვიდეო კონფერენციის პლატფორმები - 13%;



- **სუფთა ტექნოლოგიები:** ნარჩენების მართვა და გადამუშავება - 39%, ჰაერის დაბინძურების კონტროლი - 27%, წყლის გამწმენდი - 22%, მდგრადი მასალები - 6%, მწვანე სამშენებლო ტექნოლოგიები - 6%;



- **ინფორმაციული ტექნოლოგიები (IT):** მანქანური შესწავლა - 66%, ხელოვნური ინტელექტი - 18%, BIG DATA ანალიტიკა - 7%, კიბერუსაფრთხოება - 6%, ბლოკჩეინი - 2%, ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურით გამოთვლა - 2%;



- **რობოტიკა და ავტომატიზაცია:** სამრეწველო რობოტიკა - 56%, ავტონომიური მანქანები - 44%, დრონები - 1%, კოლაბორაციული რობოტები - 0%;



- **განახლებადი ენერგია და მდგრადობა:** მზის ენერგია - 72%, ენერგიის შენახვის ტექნოლოგიები - 17%, ქარის ენერგია - 6%, ჰიდროენერგია - 3%, გეოთერმული ენერგია - 2%;



კვლევის შედეგების მიხედვით, იმ საწარმოთა 15% (30 საწარმო), რომლებიც აპირებენ სამომავლოდ თანამედროვე ტექნოლოგიებში ინვესტირებას, ფიქრობს რომ ინვესტირების შედეგად დასაქმებაზე მოთხოვნა გაიზრდება. საწარმოები თვლიან, რომ ტექნოლოგიების დანერგვა გაზრდის მოთხოვნას ისეთ პროფესიულ ჯგუფებზე, როგორებიცაა: პროგრამისტები; ქიმიური პროდუქციის დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები; საკვებისა და მსგავსი პროდუქტების დასამუშავებელი მანქანების ოპერატორები; სამრეწველო სფეროს მუშებისა და ინჟინერ-ელექტრიკოსები.

კვლევის შედეგების მიხედვით, იმ საწარმოთა 7% (14 საწარმო), რომლებიც აპირებენ სამომავლოდ თანამედროვე ტექნოლოგიებში ინვესტირებას, ფიქრობს რომ ინვესტირების შედეგად დასაქმებაზე მოთხოვნა შემცირდება. საწარმოები თვლიან, რომ ტექნოლოგიების დანერგვა შეამცირებს მოთხოვნას: მკერავებსა და მქარგავებზე, წარმოების კლერკებზე.